გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№38 (1064) 6 - 7 აპრილი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# რეზო ამაშუკელი კაბაში — „ლალი, ენა გააჩერეო...“

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ



**„— „9+1“-ში მიშას ბებიის ან დედის როლი რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?**

— არა. ჩემთვის, მაგალითად, უფრო საინტერესო აფრასიძეების დედის ან ნორა კვიციანის როლი იქნება“



გვ.4-5

რატომ შეიცვალა გვარი და რა აკავშირებდა მიშას მამიდასთან ლალი ბადურაშვილს



## „ივანიშვილი ჩვენზე რომ ზრუნავდეს, ტელევიზიები ჩვენთვისაც გახსნილი იქნებოდა!“

„პასიური არ ვარ!“ — რა გეგმები აქვს სოსო შაცბერაშვილს გვ.3



გაზეთი „ვერსია“ სამძიმარს უცხადებს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელის, ბექა მარგიშვილის ოჯახს

## ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიციელის მკვლელობა არავის შერჩება!“

## რატომ უნდათ „არემჯის“ გაჩერება, ანუ ნაყოფია ნაყოფიას წინააღმდეგ

გვ.7

## თიბისი ბანკი TBC BANK

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე ბანკის საუკეთესო მმართველად დასახელდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში გვ.5

## „ეს იდეა მარაზმია... ხომ არ შეიძლება, დეპუტატმა ყველაფერში ცხვირი ჩაყოს?!“

ერთის ნაცვლად 5 „უდო“? — პარლამენტში სკანდალი მწიფდება გვ.6

## $m^2$-მა თბილისში 100 ნერგი დარგო



გვ.7

## გიორგი პაპუაშვილს „ახალგაზრდა ადვოკატები“ თვალთმაქცობაში ამხელენ

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ სადავო ქონება ოჯახის ახლობელს მიჰყიდა გვ.6

# აზერბაიჯანელებმა ყაჩაღები ჩაქოლეს

ოთხი გვამი და ოქროთი სავსე სამლიტრიანი ქილა

## პატიმრის დღიური



გვ.8

# ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიციელის მკვლელობა არავის შერჩება!“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიციელის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს და განცხადებას ავრცელებს:

**„უდიდეს მწუხარებას გამოვთქვამ პოლიციის თანამშრომლის, ბექა მარგიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო. იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დამნაშავის ტყვიამ იმსხვერპლა. პატივს მივაგებ მის ხსოვნას. ვიზიარებ ოჯახისა და ახლობლების მწუხარებას, თანავუგრძნობ პოლიციის მთელ პირად შემადგენლობას.**

**მძიმედ არის დეტექტივის თანაშემწე — გამომძიებელი ვალერიან გრძელიშვილი.**

**პოლიციელის მკვლელობა სახელმწიფოს მიმართ ხელის აღმართვაა, რაც არავის შერჩება! ეს საზარელი დანაშაული აუცილებლად გაიხსნება და დამნაშავე კანონის მთელი სიმკაცრით აგებს პასუხს“.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, შსს-ს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ბექა მარგიშვილი, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელ ვალერიან გრძელიშვილთან ერთად, 4 აპრილს, საღამოს საათებში, თბილისში, ვარკეთილის მეტროსთან, ჯავახეთის ქუჩაზე, სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, რა დროსაც მათ გადამოწმების მიზნით პიროვნება შეაჩერეს. აღნიშნულმა პირმა მოულოდნელად პოლიციელების მისამართით ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სროლის შედეგად ორივე სამართალდამცველი დაიჭრა.

**„მიყენებული ჭრილობების შედეგად ბექა მარგიშვილი საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ვალერიან გრძელიშვილს სამედიცინო დახმარება პირველ კლინიკურ საავადმყოფოში უტარდება. მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები დამნაშავე პირის დადგენა-დაკავების მიზნით. გამოძიებას ქალაქ თბილისის პროკურატურა აწარმოებს“,** — ნათქვამია შსს-ს ანცხადებაში.

პოლიციის თანამშრომლის გარდაცვალების გამო განცხადებას პრეზიდენტიც ავრცელებს: **„შესაბამისი ორგანოებისგან ჩვენ ველით ამ უმძიმესი, ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულის სწრაფ გამოძიებას. დამნაშავემ კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი. პატივს მივაგებ ბექა მარგიშვილის ნათელ ხსოვნას და ამ მძიმე წუთებში თანადგომას ვუცხადებ მის ოჯახს, ახლობლებს, პოლიციის მთელ პირად შემადგენლობას“.**

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის, ბექა მარგიშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

პოლიციელის მკვლელობას შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაურიც გამოეხმაურა, რომლის შეფასებითაც, 4 აპრილს მომხდარი შემთხვევა ძალიან ჰგავს ბორჯომის შემთხვევას.

**„რაც მოხდა, ყველასთვის ცნობილია, პოლიციელები თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, როდესაც შეამჩნიეს პიროვნება, რომელსაც მოსთხოვეს, შეჩერებულიყო ვინაობის დადგენის მიზნით. მან გახსნა ცეცხლი და მიიმალა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ჰგავს ბორჯომის შემთხვევას და ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ“,** — აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

მან ასევე დიდი მადლობა გადაუხადა ექიმებს, რომლებმაც, მისი თქმით, ყველაფერი გააკეთეს დაჭრილი პოლიციელების გადასარჩენად. **„თუმცა, სამწუხაროდ, ერთი მათგანის გადარჩენა ვერ მოხერხდა“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

# დავით საგანელიძე დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის წინააღმდეგია



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, დავით საგანელიძე საჰაერო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მემორანდუმის საკითხზე დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის წინააღმდეგია.

როგორც საგანელიძემ ჟურნალისტებს თავისუფალი დემოკრატების მოთხოვნის კომენტირებისას განუცხადა, არასწორად მიაჩნია ყველა იმ საკითხზე კომისიის შექმნა, რომელსაც ოპოზიცია წამოჭრის. უმრავლესობის ლიდერის განმარტებით, ასეთ შემთხვევაში პარლამენტი დროებითი კომისიების „გაუთავებელ, უსასრულო კასკადს მიიღებს“.

**„არ მგონია, რომ ყველა საკითხზე, რასაც ოპოზიცია წამოჭრის, პარლამენტმა სასწრაფოდ კომისიები უნდა შექმნას. ამ შემთხვევაში, მივიღებთ კომისიების უსასრულო, გაუთავებელ კასკადს, რაც წარმოუდგენელია. რაც შეეხება უშუალოდ იმ თემას, რაზეც თავისუფალი დემოკრატები საუბრობენ, მიმაჩნია, რომ ეს საკითხი არ არის ის, რომელზეც ახლა კომისია უნდა შეიქმნას. თუ სასაუბრო და სალაპარაკო იყო ეს თემა, კომისია თავის დროზე უნდა შექმნილიყო და არა მაშინ, როცა სხვა პროცესებს უკავშირდება ეს ყველაფერი. ასე რომ, ჩემი აზრით, ასეთი კომისია არ უნდა შეიქმნას, ამის მომხრე არ ვარ და დარწმუნებული ვარ, არ შეიქმნება“,** — განაცხადა საგანელიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის თქმით, თავისუფალი დემოკრატების მოთხოვნაზე კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე საუბარი არ ყოფილა.

**„ამ თემასთან დაკავშირებით არ გვისაუბრია. როცა საკითხის ინიცირება მოხდება, პარლამენტი მერე უპასუხებს მას იმ პოზიციით, რა პოზიციაც იქნება ფრაქციებზე შეთანხმებული“,** — აღნიშნა დავით საგანელიძემ.

***„ინტერპრესნიუსი“***

# საქართველოს საპატრიარქოს საგანგებო განცხადება



საქართველოს საპატრიარქო რუსეთის ეკლესიის მეთაურის მიერ აფხაზეთიდან ჩასული მღვდელმსახურების მიღებას ეხმაურება.

**„გავრცელდა ინფორმაცია რუსეთის ეკლესიის მეთაურის მიერ აფხაზეთიდან ჩასული მღვდელმსახურების მიღების შესახებ, რომელთაც ეპისკოპოსის კურთხევა ითხოვეს. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ დღეისთვის აფხაზეთში მყოფ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა შორის ორი დაპირისპირებული დაჯგუფებაა. ერთნი ცდილობენ, კავშირი დაამყარონ მსოფლიო საპატრიარქოსთან და მის იურისდიქციაში შევიდნენ. მეორენი იგივეს რუსეთის ეკლესიას სთავაზობენ. ორივეს პოზიცია მიუღებელია და სრულიად ეწინააღმდეგება მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ აღიარებულ კანონებს, რასაც, ბუნებრივია, ვერ დაარღვევს როგორც კონსტანტინოპოლის, ისე რუსეთის საპატრიარქო“,** — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკლესიამ არაერთხელ დააფიქსირა მზაობა, რომ მისი მოძღვრები ჩავიდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე და აღავლინონ მსახურება, აფხაზეთში შესვლას ითხოვს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქიც, თუმცა ადგილობრივი „ხელისუფლების“ წინააღმდეგობის გამო, ჯერჯერობით, ეს ვერ ხერხდება.

***„ინტერპრესნიუსი“***

# ოკუპირებულ აფხაზეთში მეტროპოლიტენს ააშენებენ



მეტროპოლიტენის პირველი, 21-კილომეტრიანი ხაზი სოხუმიდან ახალ ათონამდე აშენდება, — ამის შესახებ აფხაზ ჟურნალისტებს კომპანია „აპსნიმეტროპროექტის“ გენერალურმა დირექტორმა, ელქან აგბამ განუცხადა. მისი თქმით, პროექტის უნიკალობა ისაა, რომ არსებულ ინფრასტრუქტურაზე იქნება დაფუძნებული. ეს კი მშენებლობის ვადების და ღირებულების შემცირებას გამოიწვევს.

**„პირველ სადგურად ახალი ათონის მღვიმის არსებულ პავილიონს გამოვიყენებთ. პროექტი „ახალი ათონი-სოხუმი“ მიწისქვეშა და მიწისზედა მონაკვეთებს მოიცავს. მისი მშენებლობის გაიაფებისთვის, მიწისქვეშა ნაწილის დაპროექტებისას უკვე არსებულ სარკინიგზო სავალ ნაწილს გაგავითვალისწინებთ“,** — აღნიშნა აგბამ.

მეტროპოლიტენის პროექტის ღირებულება და მისი აშენების ვადები ჯერჯერობით არ სახელდება. რაც შეეხება დაფინანსებას, სატრანსპორტო სისტემის საინვესტიციო გეგმის ფარგლებში, ოკუპირებულ აფხაზეთში პირველი მეტროპოლიტენის ასაშენებლად თანხას კომპანია ,,როსვამინვესტი” გაიღებს. კომპანიის ხელმძღვანელი გერასიმ უმისლოვი აცხადებს, რომ სოხუმიდან ახალ ათონამდე მეტროს გახსნა აფხაზეთში მეტროპოლიტენის განვითარების პირველი ეტაპია.

**„მომავალში, როცა სოხუმის აეროპორტის კომპლექსის რეკონსტრუქცია მოხდება, მეტროსადგური ბაბუშერაშიც გაიხსნება“,** — აღნიშნა ინვესტორმა.

***„ჯი-ეიჩ-ენი“***

# თავდაცვის უწყებისთვის ბრალდებები მიუღებელია



თავდაცვის მინისტრი, ფაქტობრივად, პირადად იცნობს გარდაცვლილი ჯარისკაცების ოჯახების წარმომადგენლებს და ამიტომაც, უწყებისთვის მიუღებელია გამოთქმული ბრალდებები უპატივცემულობასა და უყურადღებობასთან დაკავშირებით, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტში განუცხადეს. მათივე განმარტებით, ვერ მიიღებენ ბრალდებას, ვინაიდან სწორედ გმირების ოჯახებზე ზრუნვაა სამინისტროს ყოველდღიური საფიქრალი.

მათივე ინფორმაციით, 2 აპრილს, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული 42 სამხედროს ცხედრების ფრაგმენტების დაკრძალვის ღონისძიებას, თავდაცვის სამინისტროდან ესწრებოდნენ: თავდაცვის მინისტრის მოადგილე კახა ოქროჯანაშვილი, სამინისტროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კახა ჩიქოვანი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეები — ბრიგადის გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია, პოლკოვნიკები — რომან ჯოხაძე და გიორგი კბილცეცხლაშვილი, სხვა სამხედრო მაღალჩინოსნები.

**„ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროდან მიღებული წერილის თანახმად, 2008 წელს, საბრძოლო მოქმედებების დროს გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ფრაგმენტები, რომელთა საშუალებითაც მოხდა იდენტიფიცირება დნმ-ის ანალიზის საშუალებით, აღარ ექვემდებარებოდა შემდგომში მათთან შენახვას და საჭირო იყო გადაწყვეტილების მიღება.**

**გენერალური შტაბის ხელმძღვანელობამ გაიარა სათანადო კონსულტაციები როგორც ოჯახის წევრებთან, ასევე სასულიერო პირებთან, გენერალური შტაბის უფროსის ბრძანებით, განისაზღვრა შეტყობინების ჯგუფი, რომელმაც მოახდინა ყველა (42) სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრების ინფორმირება. ვინაიდან 42-ვე სამხედრო მოსამსახურის ცხედარი უკვე მიბარებული იყო მიწას და ყველა აუცილებელი წესიც (სამხედრო პატივით და ზალპით დაკრძალვა) დაცული იყო მათი დაკრძალვის დღეს, ამჯერად, მოძღვარს წესი არ აუგია და მხოლოდ მათი სულების მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. სხეულის ფრაგმენტები საფლავამდე საპატიო ყარაულმა მიაცილა.**

**ეს არ იყო ნეშტის დაკრძალვის ცერემონია, მხოლოდ დაღუპული გმირების ფრაგმენტები ძმათა სასაფლაოზე მიწას მივაბარეთ. თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახის წევრებისთვის ყველა ასეთი პროცესი ძალიან მძიმეა, გადაწყდა, რომ მხოლოდ ოჯახის წევრები, სასულიერო პირები და თავდაცვის უწყების მაღალჩინოსნები დაესწრებოდნენ“,** — აცხადებენ თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტში.

მათივე ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრესი პრიორიტეტია სამშობლოსთვის თავდადებული გმირების პატივისცემა, მათ ოჯახებზე ზრუნვა.

თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტი 2 აპრილს გამართულ ღონისძიებებზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, მათი ინფორმაციით, 2 აპრილს, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ სამმხრივი თავდაცვის მინისტერიალი გაიხსნა. მოგვიანებით, საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელებმა მედიისთვის განცხადებები გააკეთეს. ამის შემდეგ, თავდაცვის მინისტრმა, მინდია ჯანელიძემ და გენერალური შტაბის უფროსმა, ვახტანგ კაპანაძემ ორმხრივი შეხვედრები გამართეს თურქ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან.

***„ინტერპრესნიუსი“***

ოპოზიცია



# „ივანიშვილი ჩვენზე რომ ზრუნავდეს, ტელევიზიები ჩვენთვისაც გახსნილი იქნებოდა!“

## „პასიური არ ვარ!“ — რა გეგმები აქვს სოსო შატბერაშვილს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**შალვა ნათელაშვილის პარტიიდან ნინო ბურჯანაძის კოალიციაში გადასული სოსო შატბერაშვილი მედიაზე ნაწყენია, არ მაშუქებენ და ყველას ჰგონია, რომ პასიური ვარო. 2 წლის წინ შექმნილი მემარცხენე ალიანსის ლიდერი, მართლაც, პასიურია, მაგრამ კვლავინდებურად ამბიციური. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებულია, რომ 2016 წელს, პარლამენტში, ბურჯანაძის ბლოკთან ერთად, აბსოლუტური უმრავლესობით მოვა; შალვა ნათელაშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრია და ამიტომაც „ქერის უბნისა“ თუ თოქ-შოუების უცვლელი გმირია; ნაციონალები შევარდნაძის მთავრობის დროს შუქს აქრობდნენ, „ოცნების“ მთავრობას კი საბოტაჟს საგამოძიებო სტრუქტურებიდან უწყობენ... მოკლედ, „ვერსიის“ კითხვებს სოსო შატბერაშვილი პასუხობს.**

— **ბატონო სოსო, სად დაიკარგეთ?**

— ჩვენ ისევ პოლიტიკაში ვართ, ადგილობრივ არჩევნებშიც მივიღეთ მონაწილეობა, ოღონდ, „ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ ბლოკით, სადაც ჩვენ, ბურჯანაძის პარტია, ქართული დასი და ტრადიციონალისტთა კავშირი ვიყავით. მოღვაწეობას ვაგრძელებთ, მაგრამ სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობის ხელში არსებული მედია ნაკლებად გვწყალობს. თუ პრესა და ელექტრონული მედია არ გაგვაშუქებს, მაშინ, რა თქმა უნდა, დაკარგულებად ჩავითვლებით. ამ პარტიებთან ერთად, ახლაც ალიანსში ვართ, თუმცა შესაძლოა, საპარლამენტო არჩევნების დროს ვინმე დაგვემატოს ან ბლოკს სხვა სახელი დაერქვას.

— **ფაქტია: ნათელაშვილი დარჩა, თქვენ გაქრით. 2 წლის წინ, ლეიბორისტების ლიდერს მძიმე ბრალდებები წაუყენეთ, მერაბიშვილთან გარიგებაში დაადანაშაულეთ. დღესაც ასე ფიქრობთ?**

— „რუსთავი 2“, ინგა გრიგოლიას თოქ-შოუ, ანიმაციური ფილმი „ქერის უბანი“ — შალვა ყველგან მთავარი გმირია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნათელაშვილი ლეიბორისტების თავმჯდომარე კი არა, ნაციონალების წევრია. როცა ლეიბორისტებში ვიყავით, ჩვენთვის თითქმის ყველა მედიასაშუალება გადაკეტილი იყო, 2012 წლის შემდეგაც მემარცხენე ალიანსისთვის არაფერი შეცვლილა,

შალვა ნათელაშვილისთვის კი ყველაფერი ღიაა.

— **ნათელაშვილი შოუების გმირი, ალბათ, იმიტომაა, რომ თქვენგან განსხვავებით, პოლიტიკურ შოუს აკეთებს...**

— „ვანოს შოუდან“ დაწყებული, საინფორმაციო საშუალებებით დამთავრებული, სულ ნაციონალების არხებზე ზის, ჩვენ კი თვეში ერთხელ, 15 წამით თუ გავშუქდით, ესეც დიდი შრომისა და წვალების შედეგია — ამას რეკვით, თხოვნითა და ხანდახან კატეგორიული მოთხოვნით ვაღწევთ. მინდა, IRI-ს კვლევებსაც გამოვეხმაურო — 2012 წლამდე ნათელაშვილს მართლა საპრეზიდენტო რეიტინგი ჰქონდა, პარტიას კი საპარლამენტო უმრავლესობის დაკომპლექტება შეეძლო. მაშინ IRI-ცა NDI-ც 2%-ს გვიწერდნენ. ახლა ხომ ხედავთ, შალვას 6% დაუწერეს, როცა საპარლამენტო არჩევნებში 1%, ადგილობრივში კი 3% აიღო. ეს მაშინ, როცა ჩვენმა კოალიციამ საპრეზიდენტო არჩევნებში 10% მიიღო, ადგილობრივ არჩევნებში კი 10%-ზე მეტი. პატრიოტთა ალიანსმა უცებ ბლიც-კრიგი ჩაატარა და კვალიფიციური პარტია გახდა. თურმე, ნუ იტყვით და, მასზე წინ შალვა ნათელაშვილი ყოფილა. მიზეზი უკვე სახეზეა, რის გამოც მისი პარტიიდან წამოვედით.

— **ისე, სწორედ თქვენს ალიანსსა და ირმა ინიშვილის პარტიას მიიჩნევენ ხელისუფლების დამატებად...**

— ეს ბიძინა ივანიშვილის იმ განცხადებითაა გამოწვეული, რომ ოპოზიცია უნდა გაძლიერდეს. ვერ გავიგე, რითაა ცუდი ეს განცხადება, ოპოზიცია არ უნდა გაძლიერდეს? თუმცა, ბიძინა ივანიშვილი ამისთვის არაფერს აკეთებს. რა გვეტყობა, რომ რაიმეთი გვაძლიერებს? ივანიშვილი ჩვენზე რომ ზრუნავდეს, ტელევიზიები, „რუსთავი 2“-ის გარდა, ჩვენთვისაც გახსნილი იქნებოდა.

— **გამოდის, ივანიშვილმა ამ განცხადებით დისკრედიტება გაგიკეთათ?**

— არა, რატომ? ივანიშვილი სააკაშვილი არ არის. ხალხს ქუჩაში არ ხოცავენ, პატიმრებს — ციხეში, მოსახლეობას ხელკეტებს აღარ ურტყამენ, აქციებს არ არბევენ. ცოცხალი ივანიშვილი თვალით არ მინახავს, მაგრამ სააკაშვილი ტირანი იყო, ივანიშვილის მთავრობა კი უნიათოა. წინა ხელისუფლებას ვებრძოდით, ამ ხელისუფლებას არ ვებრძვი, უბრალოდ, ვაკრიტიკებ და მინდა, შეიცვალოს.

— **„ოცნების“ 2-წლიანი მმართველობის დროს 4 პოლიტიკური მკვლელობა მოხდა: რაფალიანცი, კიწმარიშვილი, ვაზაგაშვილი, ხარძიანი...**

— ხელისუფლება ამ მკვლელობებში პირდაპირი დამნაშავე იმიტომ კი არაა, რომ მან დაუკვეთა, არამედ, იმიტომ, რომ რეალური დამკვეთები დაჭერილები არ არიან, საქმეები გამოსაძიებელია. დამკვეთებს პირდაპირ გადარცვლილების ახლობლები ასახელებენ, ხელისუფლება კი ამ სერიული მკვლელობების მიუხედავად, მაინც უმოქმედოა. დამნაშავეების გვარები წითელ ცირკულარში უნდა შეიტანონ და ამ პირების ექსტრადირება კატეგორიულად მოითხოვონ, თუმცა ხელისუფლებას ამის დიდი სურვილს ვერ ვატყობ.

— **რატომ — საქმეების გახსნა არ უნდა თუ ნაციონალების დასჯა?**

— გარკვეულ სტრუქტურებში შემძვრალები არიან ნაციონალები, ან დატოვებული ჰყავთ ძველი კადრები, რომლებიც ამ ხელისუფლებას საბოტაჟს უწყობენ. როცა შევარდნაძე პრეზიდენტი იყო, ნაციონალური მოძრაობის წევრები ყველგან იყვნენ და სიბნელეში გვამყოფებდნენ: დენის გამორთვა და ძველი ხელისუფლების დისკრედიტაცია მთლიანად ნაცმოძრაობის მოწყობილი იყო. როგორც კი სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, საქართველო განათდა. ე.ი. ჩვენ იმდენი დენი გვქონია, მხოლოდ საქართველოში კი არა, საზღვარგარეთაც იყიდებოდა. ახლაც იგივე ხდება, მაგრამ მთავრობა ამას წინ ვერ აღუდგა, რადგან ეს კოალიცია აბსოლუტურად უნიათო და ეკლექტური წარმონაქმნია.

— **ე.წ. შევარდნაძისდროინდელი საბოტაჟი რევოლუციით დასრულდა. ახლაც რევოლუციას ელით თუ მშიერ ბუნტს? ამ დროს თქვენ სად იქნებით?**

— თუ მშიერი ბუნტი დაიწყო, რა თქმა უნდა, ხალხის გვერდით ვიქნებით, ხელისუფლებამ ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალოს! თუ ასე გაგრძელდა, „ქართული ოცნების“ დღე ძალიან მოკლე იქნება. როგორც კი ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერი გახდა, ჩვენმა პარტიამ მაშინვე შესთავაზა, არასაპარლამენტო ოპოზიციისგან საკონსულტაციო ჯგუფი შეექმნა, რომელსაც მოუსმენდა და მის რჩევებს გაითვალისწინებდა, მაგრამ სრული იგნორირება გაგვიკეთა და ახლა შედეგებს იმკის.

— **თქვენი პოლიტიკური ძალა ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, თან ინტერპარტიულ ჯგუფშიც ხართ, რომელიც საარჩევნო კოდექსის შეცვლაზე მუშაობს და ეს ორი მოვლენა ერთად როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ამ 11 პარტიის 5-თვიანი მუშაობა ძალიან ნაყოფიერია. ხანდახან კონსენსუსი პარტიის შიგნით არაა. ამ შემთხვევაში კი, ერთ აზრზე 11 პარტია შევჯერდით — ეს დიდი საქმეა. შემოგვიერთდა პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, მხარს გვიჭერს აშშ-ს ელჩი, ნატო-ს წარმომადგენლობა, ნაციონალური მოძრაობა, თავისუფალი დემოკრატები — შეიკრა წრე და მხოლოდ პარტია „ოცნება“ აღმოჩნდა ამ წრის გარეთ.

— **ე.ი. კონსტრუქციულ რელსებზე გადახვედით?**

— დესტრუქციული არც ნაციონალების დროს ვყოფილვართ, ვიდრე თავად არ გახდნენ ასეთები. თუ ეს მთავრობა ვინმეზე ხელს აწევს, აქციებს დაარბევს ან ტელევიზიებში შევარდება, ჩვენც დესტრუქციულ მოქმედებებზე გადავალთ. ქვეყანაში არეულობა და აშლილობა არ გვინდა. რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, ჩვენი კოალიცია პირველი იყო, ვინც ამაზე საუბარი დაიწყო, თუმცა კოალიცია, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, ახალი გუნდი აქვთ შესაქმნელი, ამიტომ ჩვენამდე ხმა მოვიდა, რომ ვადამდელი არჩევნები აღარ ჩატარდება. როგორც გავიგე, ამას კატეგორიულად სწორედ პარლამენტი ეწინააღმდეგება. ამიტომ 2016 წლის არჩევნებისთვის ვემზადებით.

— **როგორ ემზადებით — ვისთან აპირებთ თანამშრომლობას, რისი იმედი გაქვთ?**

— ჩვენი კოალიცია ხელისუფლებაში აბსოლუტური უმრავლესობით მოვა. თუ მაინც დავუშვებთ, რომ უმრავლესობით ვერ მოვედით, მაშინ არ ვიცი, ვინ იქნება უმრავლესობა, არ მგონია, ეს „ოცნებამ“ მოახერხოს, თუმცა საარჩევნო სისტემა ისეთი მანკიერი, საზარელი და საზიზღარია, რომ თუ არ შეიცვალა, მიუკერძოებელ და წესიერ არჩევნებზე საუბარი ზედმეტია. ცვლილებების მოსწრება თავისუფლად შეიძლება, რადგან ამ განხილვისთვის 2 სესიაა საჭირო — საშემოდგომო და მომავალი წლის საგაზაფხულო. თუკი ახლავე დაიწყება ცვლილებების განხილვა, ყველაფერი მოესწრება, თუმცა ცხადია, „ოცნებას“ ეს არ აწყობს. მიმდინარე კვირაში ოფიციალური წერილით პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეებს მივმართავთ, რათა მემორანდუმში ჩაწერილი ცვლილებების მიხედვით, რაზეც ხელი მოგვიწერეს, კოდექსზე მუშაობა დაუყოვნებლივ დაიწყონ.

განცხადება

ტექნოლოგიური განვითარების ფონდი

# აუცილებელი განმარტება

დიღმის ოლიმპიური სპორტული კომპლექსი წარმოადგენს ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტს და სამუშაოების დასრულების ვადები არის მკაცრად შეზღუდული, ხოლო მათი დროული და ხარისხიანი დასრულება პირდაპირ კავშირშია თბილისში 2015 წლის ივლისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალთან. აქედან გამომდინარე, „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ მიერ განხორციელებული ქმედებები შპს „მშენგრუპთან“ და გამარტივებული შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით არის გამართლებული, კანონმდებლობასთან შესაბამისი და შეთანხმებული საქართველოს მთავრობასთან.

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდს“ და შპს „მშენგრუპს“ შორის 2014 წლის 7 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თბილისში, დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე ოლიმპიურ სპორტულ კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზის და მასთან ერთად გაზსადენის ქსელის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ, რომლის შესრულების ვადად განისაზღვრა 75 კალენდარული დღე. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 2 695 000 ლარი.

შპს „მშენგრუპს“ დამკვეთის მიერ, საბანკო გარანტიის საფუძველზე ჩაერიცხა თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან 1 050 000 (მილიონ ორმოცდაათიათასი) ლარი, საიდანაც, როგორც შემდგომ გაირკვა, შპს „მშენგრუპმა“ 371 000 ლარი, ხელშეკრულებისა და კანონის დარღვევით ჩაურიცხა სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფს“, რაც დაუშვებელი იყო, ვინაიდან ავანსად გაცემული თანხა უნდა მოხმარებოდა მხოლოდ ხელშეკრულების მიზნებს.

ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში სამუშაოების შესრულება მიმდინარეობდა დადგენილი ვადების დარღვევით, დაბალი ტემპებით, რაც, შპს „მშენგრუპის“ არგუმენტებით, გამომდინარეობდა ფინანსური პრობლემებით. აღნიშნული მოსალოდნელი იყო, რადგანაც შპს „მშენგრუპის“ მიერ ბიუჯეტის კუთვნილი ავანსად ჩარიცხული თანხების ხარჯვა მოხდა არამიზნობრივად, გაურკვეველი მიმართულებებით.

იმ პირობებში, როცა ავანსად გადარიცხული იყო 1 050 000 ლარი, ხოლო ამ თანხის ფარგლებში, მათივე აღიარებით, შესრულებულ იქნა მხოლოდ 410 000 ლარის ღირებულების სამუშაო, შპს „მშენგრუპი“ გაურკვეველი არგუმენტაციით დამატებით ითხოვდა ბიუჯეტის კუთვნილი თანხების ავანსად ჩარიცხვას, რასაც ფონდი ვერ დაუშვებდა.

აღსანიშნავია, რომ შპს „მშენგრუპი“ მონაწილეობდა ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვა ტენდერშიც, რომელშიც უპირატესობის მოპოვების მიზნით, გააყალბა ბანკიდან წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტი, რის თაობაზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. შპს „მშენგრუპის“ მიერ მოხდა დანაშაულის აღიარება და კომპანიის დირექტორთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

ფონდმა დროულად მიიღო საჭირო გადაწყვეტილება და საავტომობილო გზის მშენებლობის ხელშეკრულება, თანხების არამიზნობრივად ხარჯვისა და შესრულების ვადების უხეში დარღვევის გამო, ცალმხრივად შეუწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით, შპს „მშენგრუპი“ რეგისტრირებულ იქნა არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავი სია).

შპს „მშენგრუპის“ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით შეიქმნა ფორსმაჟორული გარემოება და სამუშაოების დროულად დასრულების მიზნით, გამარტივებული შესყიდვით განხორციელების აუცილებლობა. ფონდმა „საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველოს“ ბაზიდან მოიძია ყველაზე გამოცდილი კომპანიები და ჩაატარა ფასთა გამოკითხვა, რის შემდეგაც უმცირესი ფასის პრინციპით ხელშეკრულება გაფორმდა იქნა კომპანია „კალასსთან“. სამშენებლო სამუშაოები დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს მაღალი ტემპით.

***სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება***



# რეზო ამაშუკელი კაბაში — „ლალი, ენა გააჩერეო...“

## რატომ შეიცვალა გვარი და რა აკავშირებდა მიშას მამიდასთან ლალი ბადურაშვილს

ვანო პავლიაშვილი

**...საათნახევრიანი საუბარი ტრადიციულად დავამთავრე, ხომ არაფერს მკითხვათ-მეთქი. მომიგო, ყოველთვის კარგ პოლიტიკურ ანალიზს აკეთებ და ნაციონალების დაბრუნების შანსი არსებობს თუ არაო. დავამშვიდე... მერე, კედლებზე გაკრული ფოტოსურათები დამათვალიერებინა. მანამდე კი, მითხრა, ერთხელ, სკოლამდელი და ბავშვობის მეგობარმა, რეზო ამაშუკელმა დამირეკა, რომელიც არაჩვეულებრივად უკრავდა, მუშტი-კრივშიც მაგარი იყო და მითხრა, რეზო ხარ კაბაშიო. მეგობარს კი უხუმრია, გოგა ხაინდრავა ხარ „იუბკაშიო“. სხვათა შორის, ისიც ვკითხე, ქმრის გვარს რატომ ატარებთ-მეთქი. თვითონ მთხოვა და ამის გამო ბიძები გამებუტნენო... სიტყვა უფალზეც ჩამოვაგდეთ. ღმერთისკენ რამდენიმე გზაა, ჩემთვის ყველაზე ჭეშმარიტი ჩემი გზაა, სხვისთვის — სხვაო, — გამანდო... შორენაც გავიხსენეთ და... ჩავეკითხე, შორენასავით, თავს თუ გაწირავთ-მეთქი. დაფიქრდა... მოკლედ, თქვენს წინაშეა მსახიობ ლალი ბადურაშვილის არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ.**

— კომუნისტურ პერიოდში დავიბადე და გავიზარდე... ჩემი მეუღლე, თეიმურაზ ბადურაშვილი თავისი თაობის გამორჩეული ბიჭი იყო. ვეუბნებოდი, ალბათ, დებილი იყავი — პირველი კლასიდან, უნივერსიტეტის დამთავრებამდე, ყველა საგანში, სულ ხუთიანები როგორ გქონდა, ერთი ოთხიანიც არ მიგიღია-მეთქი. სხვათა შორის, თემოს კლასელებიდან 9 აკადემიკოსი გახდა. თემო ძალიან არტისტული ტიპი იყო — ტრიბუნაზე გამოსვლა ეხერხებოდა და კარგადაც მღეროდა: ნინის ყური დედისგან გამოყვა, ძლიერი, მეტალივით ხმა კი ბადურაშვილებისაა... ჩემი მეუღლე ისეთი ენამახვილი იყო, თემიკო ჩირგაძე ჩერდებოდა, ახლა, ეს კახურად მომარტყამსო... ნიკო კეცხოველზე გიჟდებოდა... 50-იან წლებში, როგორც ჩანს, პარტიაში მიხვდნენ, რომ დებილები კი არა, მოაზროვნეები სჭირდებოდათ. ერთი სიტყვით, ნიკომ უთხრა, ძალიან პოპულარული ხარო და უნივერსიტეტის კომკავშირის მდივნობა შესთავაზა... მაშინ უკვე ფილოსოფიური ფაკულტეტის პირველი კურსის ასპირანტი იყო... თეატრალური წრე ჰქონდათ. ეგენი ჩემზე ათი წლით უფროსები იყვნენ. ჩემმა დეიდაშვილმა, ოთარ თენეიშვილმა მე და თავისი და წაგვიყვანა. თეიმურაზმა დამინახა და დამთავრდა — ოთარის სახლიდან ფეხი აღარ გაადგა, მთელი ჩემი ბიძაშვილ-მამიდაშვილობაც გაიცნო... ჩემს ასაკში ცოტა ტრაბახი შეიძლება — რაც გავჩნდი, პოპულარული ვარ. ჰოდა, დედაჩემს სულ ეშინოდა, ვაიმე, არაფერი მოხდესო. ამ ბიჭების „კამანდა“ მოსწონდა. ერთხელაც, მე-11 კლასში ვიყავი, სკოლიდან დავბრუნდი და დედაჩემთან სხედან — თეიმურაზი, გოგი ანდრონიკაშვილი და თამაზ ჯანელიძე. „ოი, პაშლი ვი ვსე კ ჩორტუ“-მეთქი და კარი გამოვიჯახუნე. თემომ მომაძახა, „ჩორტთან“ არ ვართ, სადღა უნდა წავიდეთო... ერთი სიტყვით, გრძნობა გამიჩნდა. სხვათა შორის, ჩემი დედამთილი განათლების მინისტრის მოადგილე იყო. ვიღაც ჩურჩხელებსა და ათ ლიტრ ღვინოს გამოუგზავნიდა ხოლმე. ჰოდა, მთელი ეს „კომსომოლები“, თავისი ბატონი ედუარდით, ჩვენთან ისხდნენ და ქეიფობდნენ. ეს პატარა გოგო კომუნისტების წინააღმდეგ გამოვდიოდი — რაღაცები არ მომწონდა და ბატონი ედუარდი ხუმრობდა, ერთი რევოლუციონერი გვყავს, „კომსომოლში“ ლალი უნდა შევიყვანოთ და რაღაც გვეშველებაო.

მერვე კლასში ვიყავი, 9 მარტი რომ მოხდა. მე და ჩემი დეიდაშვილი, ლეილა თენეიშვილი ვისხედით, მამამისმა გვითხრა, მთელი ერი ქუჩაშია და თქვენ აქ რას აკეთებთო. მაშინვე ქუჩაში გავცვივდით. „გურზავიკზე“ დავსხედით და გორში აღმოვჩნდით. იქიდან მატარებლით წამოვედით და ხალხიც დაარბიეს ანუ ჩემს ხასიათს გეუბნებით, რომელიც მთელი ცხოვრება მომყვება.

**— ქალბატონო ლალი, ზოგი თქვენს ბოლოდროინდელ აქტიურობას ასე ხსნის, „კომსომოლი“ ენატრება და „ოცნებას“ მხარს ამიტომაც უჭერსო...**

— როგორ შეიძლება, ნაციონალებმა ჩემზე კარგი ილაპარაკონ?

**— ნაციონალებიც ადამიანები არიან!**

— ადამიანი აშავებს, ვანო!

**— კი ბატონო, მაგრამ დღემდე პოპულარული დადებით კონტექსტში იყავით, ახლა, ყველაფერი ცოტა სხვანაირადაა. ეს პოლიტიკურ განცხადებებად გიღირთ?**

— მაგათ ყურადღებას არც ვაქცევ. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც ილია ჭავჭავაძეს ვესროლეთ და მე ვინ ვარ? დოდონა კიზირია, რომელიც, სხვათა შორის, აკადემიკოსია, ჩემი თანაკლასელია. მე და ნანა ჩარკვიანიც, ირაკლი ჩარკვიანის დედა, ერთ მერხთან ვისხედით, წინ მარინე რჩეულიშვილი მეჯდა — გურამ რჩეულიშვილის და, დღემდე მეგობრები ვართ. გამორჩეული მხატვარი და პოეტი ესმა ონიანიც ჩემი მეგობარი იყო. ქეთინო სააკაშვილიც სრულიად გამორჩეული იყო...

**— ქეთინო სააკაშვილი მიშას ენათესავებოდა?**

— მამიდაა.

**— ალალი?**

— დიახ.

**— ქეთინო ბავშვობაშიც სააკაშვილის გვარს ატარებდა?**

— ახლა ხმა რომ დადის, მაშინ არასოდეს გამიგია სააკოვი-მააკოვი... მიშას ბებია-ბაბუაც — დეიდა ნათელა და დიდი მიშა სააკაშვილიც, ვისი სახელიც დაარქვეს, ძალიან კარგად მახსოვს. ქეთინო სააკაშვილს ერთი ტყუილიც არ უთქვამს, ეს კი, ასიდან 99-ს იტყუება. ვის ჰგავს? — გენეტიკაზე მთელი ჩემი შთაბეჭდილება ყირაზე დააყენა. გენს სადღაც ხომ უნდა ემუშავა?..

იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, რომ რევოლუციონერი ვარ, ხმალი მინდა და მაია წყნეთელობა, უბრალოდ, უსამართლობას ვერ ვეგუები. ბევრი მაჩერებს. იცით, რამდენი მირეკავს? — რა გინდა, ლალი, ენა გააჩერეო. ცოცხების მერე პირველი გამოვედი და მიშას ვუთხარი, ამ სისტემის შექმნით თავს რომ იწონებ, „გამზრდელი“ წაიკითხე-მეთქი.

**— „ცოცხებამდე“ რატომ არ გამოდიოდით?**

— ყოველთვის გამოვდიოდი...

**— მაგალითად, იმ 30 ქალში იყავით, ვინც სანდრო გირგვლიანის მკვლელობას თავიდანვე აპროტესტებდა?**

— დიახ. გაჩეჩილაძეების ყველა მიტინგზე ვიყავი... ვანო, 9 აპრილის მიტინგზეც ვიდექი, დარბევამდე ერთი საათით ადრე, წვიმა დაიწყო და წამოვედით, თორემ ალბათ, თავში მომხვდებოდა...

**— შვილები აქტიურობას არ გიშლიან?**

— იმის მეშინია, ვიღაცამ რომ შემომაგინოს, შვილები რას იზამენ... ისე ვარ გაზრდილი, რომ არ შეიძლება, ხუთმა ერთს დაარტყას. ადრე გოგოს თანდასწრებით ვინ იჩხუბებდა? ახლა კი, 18-19 წლის ბიჭები დათვრებიან და ერთმანეთს ურტყამენ, მაშინვე აივანზე გავრბივარ და ვუკივი, პოლიცია მყავს გამოძახებული, წადით, რას ურტყამთ, არ გრცხვენიათ-მეთქი.

**— ქუჩური ჩხუბი ბოლო დროს გახშირდა, არა?**

— არა, სულ არის — ქართველი და ჩხუბის გარეშე? ვანო, ისე ლაპარაკობ, თითქოს საფრანგეთში იყო გაზრდილი.

**— დედოფლისწყაროში დავიბადე და გავიზარდე...**

— მერე, იქ ჩხუბი არ იციან?

**— იციან... ქალბატონო ლალი, ხელისუფლება გვარწმუნებს, კრიმინალი შემცირდაო და ამ დროს, ორ თვეში ორი პოლიტიკური მკვლელობა მოხდა. თქვენც თვლით, რომ კრიმინალი შემცირდა?**

— ეს კრიმინალის შემცირება როგორაა, მაგრამ ამის უკან რა ძალები დგანან, ესეც ხომ საკითხავია? ვანო, იცი, ნერვები რატომ მეშლება? — ხელისუფლებიდან უამრავი არ მომწონს.

**— კონკრეტულად?**

— პერსონიფიცირებას არ გავაკეთებ, მაგრამ მეგონა, მაგალითად, ვანო კარგი ბიჭია, რა კარგად ლაპარაკობს-მეთქი და... როგორც კი იქ შელაგდნენ, წარმოუდგენელი მეტამორფოზა მოხდა.

**— ჰოდა, განა, უმჯობესი არაა, ხელისუფლება ახლავე გავაკრიტიკოთ, ვიდრე 9 წელი ვაცადოთ?**

— ჟურნალისტები რაც ამათზე ხართ დასეულები, მეტი რაღა უნდა მიუთითოთ, მაგრამ სხვა რამეს ვამბობ: ეს ორი პოლიტიკური მკვლელობა, როგორ ფიქრობ, ხელისუფლებას უნდოდა?

**— არა, მაგრამ ხელისუფლებას ცხონებული იური ვაზაგაშვილისა თუ ბესო ხარძიანის განცხადებები ყურად რომ ეღო, სხვა რეალობა იქნებოდა...**

— ამაზე სხვა ახსნა მაქვს: ერთხელ დავწერე და ერთი ამბავი ატყდა, ვინც დასახვრეტია, ბოლოს და ბოლოს, დახვრიტეთ-მეთქი.

**— დახვრეტისკენ მოწოდება არაჰუმანურობაა!**

— ცუდი განცხადებაა, მაგრამ მთელი წერილი რომ წაგეკითხა, მიხვდებოდი, რაზეც იყო ლაპარაკი. პოლიტიკური და შეკვეთილი მკვლელობები იტალიასა და ჩვენზე ათჯერ წინ წასულ ქვეყნებსაც ჰქონდათ. გამოძიება 8-10 წელი მიდის. დემოკრატიული გამოძიება, თურმე, ასეა — მე რომ ვანოს მოვკლავ ან ვანო მომკლავს, ათი მოწმეც არაფერია. მაშინ ამას იგივე ხერხებით უნდა ებრძოლო, რაზეც ეს ხელისუფლება არ მიდის და უსუსურიც ამიტომ ჩანს.

**— ვაზაგაშვილი და ხარძიანი დამნაშავეებს სიცოცხლეშივე ასახელებდნენ...**

— მერე რა ექნათ?

**— ელემენტარულად, დაკითხვაზე დაებარებინათ!**

— ვინ?

**— თუნდაც, უდესიანი...**

— მაინც გააკეთებდნენ... თუ საფრთხის ქვეშაა, მაშინ დაცვა დაუყენე, რა...

**— ქალბატონო ლალი, დღეს თავს დაცულად გრძნობთ?**

— ამაზე არც მიფიქრია. ვანო, დაიარე, მთელი სადარბაზო დაიარე — ხედავ, რა დღეშია...

**— შევამჩნიე, სადარბაზოში, კართან, ბევრი ხატია...**

— ჩემმა შვილმა, გიამ გააკრა, მათხოვარი ამ კარზე უფრო დააკაკუნებსო და, დილიდან საღამომდე, მართლაც, ყველა ხელგაწვდილი აქ მოდის.

**— მორწმუნე ხართ?**

— დიახ. სხვათა შორის, ესეც გენეტიკურია: ბაბუაჩემი ეპისკოპოსი იყო, ბებიაჩემი — მღვდლის შვილი, მისი ხუთივე ძმა კი — მღვდელი. შუა კომუნისტების დროს, სახლში მომნათლეს...

**— ჰუმანისტი ხართ?**

— რასაკვირველია.

**— სააკაშვილს რომ შეხვდეთ, ყურს აუწევთ?**

— არა, მაგრამ ვეტყვი, რომ გარეწარი და, პირველ რიგში, ქვეყნის მტერია. გარეწარი ბერიაც იყო, მაგრამ ქართველები უყვარდა.

**— მიხეილ ჯავახიშვილი აწამა, ევგენი მიქელაძეს კი შამფური გაუყარა და ესაა ქართველების სიყვარული?**

— თბილისი ვინ ააშენა? — ბერიამ.

**— ესე იგი, სტალინელი არ ხართ!**

— ჩემთვის სტალინი ქართული მოვლენა არაა, მაგრამ რუსეთისა და მსოფლიოსთვის უზარმაზარი მოვლენაა. ჩემთვის ანტიქართველია — ის ხანჯლები, რაც დღეს გვჭირს, მაგან და მაგის გარემოცვამ ქნა: ოსეთი რას დაარქვა, სულ ორი ოსი რომ ცხოვრობდა? რუსეთი კი სტალინზე უნდა ლოცულობდეს იმიტომ, რომ რუსი ბუნებით იმპერიალისტია.

**— რუსეთი ოკუპანტია?**

— რასაკვირველია.

**— ნატო თუ რუსეთი?**

— ორივე სხვადასხვანაირ ოკუპაციას ახდენს.

**— ქალბატონო ლალი, ნაციონალებზე ცუდს რომ ამბობთ, მერე არ ნანობთ ხოლმე?**

— ნაციონალებზე ნათქვამს არასოდეს ვნანობ.

**— ახლა რომ გითხრათ, ნაციონალი ვარ-მეთქი, გამაგდებთ?**

— არა, რასაკვირველია. უბრალოდ, გეტყვი, რომ დაბნეული ხარ და იფიქრე. სწორედ ასე ვუთხარი ინგას გადაცემაში ახალგაზრდა ბიჭს, შვილო, მიტინგი შენ ჩაატარე და მოვალ, მაგრამ ნაციონალებს თავს ნუ გამოაყენებინებ-მეთქი. ვანო, იცი, ნაციონალებში ჩემი შვილების რამდენი მეგობარია?

**— მათთან ურთიერთობა გაქვთ?**

— იმიტომ კი არა, რომ ჩემი შვილები არიან, უბრალოდ, კაცურში არაფერი შეშლიათ... ერთია, ჩემს გიას სიკვდილს ჰყავს გადარჩენილი — ახლა დაბრძენდა, ახალგაზრდობაში კი ცუდი სიმთვრალე ჰქონდა, ბარ „ყაზბეგში“ შევიდა და ისეთი ბიჭების ცოლებს აგინა დედ-მამის სული, მთელ ქალაქს რომ აზანზარებენ. ისინი იარაღით მოცვივდნენ, გია მას გადაეფარა და მანქანაში ჩასვა. ბიჭებმა უთხრეს, ბადურ, ეს რა ქენი, ფეხში დავჭრიდითო, მაგრამ გიამ მიუგო, ხვალ მოვიყვან და ბოდიშს მოიხდისო.

**— ბოდიში მოიხადა?**

— კი. სხვათა შორის, გია ბარამიძის ცოლი ეკა ჩემი შვილის უახლოესი ამხანაგია — ერთად გაიზარდნენ...

**— დღეს აქვთ ურთიერთობა?**

— არა, თუ სადმე შეხვდნენ... თაობის ტრაგედიაა: ზოგი იქით დარჩა, ზოგი — აქეთ.

**— თაობის გახლეჩას მიშას აბრალებთ?**

— ალბათ... ერთხელ, სალომე ზურაბიშვილს ვკითხე: სალომე, გეხვეწები ამიხსენი, პირველი პრეზიდენტი ხალხს უნდოდა, გიჟდებოდა, ზვიადი, ზვიადიო და გარესამყაროს არ უნდოდა. მეორე პრეზიდენტი, ბატონი ედუარდი უამრავს არ უნდოდა, გარესამყაროსა და ინტელიგენციას უყვარდა — ედუარდი ინტელიგენციას გვერდით ედგა. ვანო, შატროვის პიესა „მწვანე ბალახზე“, სადაც მარქსი და ენგელსია მასხარად აგდებული, მთელ საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო, მაგრამ რობიკამ დადგა. ვინ მისცა მწვანე შუქი? — ედუარდმა.

**— ეს ცნობილია...**

— არ გაწყობთ? — ეგრე არაა. ობიექტურები უნდა ვიყოთ.

**— ობიექტური ვარ და გიდასტურებთ, რომ შევარდნაძის დამსახურებაა „მონანიებაც“...**

— ინტელიგენციას ედუარდი უნდოდა, რაღაც მასას — ზვიადი... მოვიდა მესამე პრეზიდენტი, ხალხიც კიოდა: „მიშა, მიშა, მიშა!“ გარესამყაროსაც უნდოდა. სალომეს ვეკითხები, ხალხს რატომ აღიზიანებს-მეთქი... ერთხელ, გიგი წერეთელი ბადურას გამოფენაზე მოვიდა და ჰკითხა, რა უნდა ვქნათო.

*დასასრული მე-5 გვერდზე*

# თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე ბანკის საუკეთესო მმართველად დასახელდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში

მსოფლიოს წამყვანმა ფინანსურმა ჟურნალმა, EMEA Finance 2014 წლის ევროპის საბანკო დაჯილდოების გამარჯვებულები გამოავლინა.

- **თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ბანკის საუკეთესო მმართველად დასახელდა;**
- **თიბისი ბანკი დასახელდა 2014 წლის საუკეთესო ბანკად საქართველოში.**

ხოლო საერთაშორისო ბანკები UBS და Barclays დასახელდნენ საუკეთესო საინვესტიციო ბანკებად საქართველოში 2014 წელს. ეს ის ბანკებია, რომლებმაც შარშან თიბისი ბანკის აქციების პირველადი შეთავაზება (IPO) განახორციელეს ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

ვახტანგ ბუცხრიკიძე, ბანკის პირველი ქართველი მმართველია, რომელმაც პროფესიონალური მიღწევებისთვის EMEA Finance-ის ჯილდო რეგიონის მასშტაბით მიიღო. საუკეთესო ბანკის ჯილდო კი თიბისი ბანკმა საქართველოს მასშტაბით EMEA Finance-ისგან თანმიმდევრულად უკვე მეოთხედ მიიღო.

**„თიბისი ბანკი ხელს უწყობს, საქართველოს მზარდი ეკონომიკის განვითარებას. ის არის ლიდერი ბანკი საქართველოში საცალო, მცირე და საშუალო და მიკროსესხების სეგმენტებში, სადაც ბანკი წლიდან წლამდე უკეთეს შედეგებს აღწევს. ბანკის უნარს — გაზარდოს ბაზრის წილები წლიდან წლამდე, მისი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ბუცხრიკიძის ლიდერობა განაპირობებს. მოხარული ვართ, დავასახელოთ ის ბანკის 2014 წლის საუკეთესო მმართველად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში“,** — აღნიშნა ქრისტოფერ მურმა, EMEA Finance-ის აღმასრულებელმა დირექტორმა და გამომცემელმა.




**„ჩვენთვის საამაყოა, რომ თიბისი ბანკი უკვე მეოთხე წელია იღებს საუკეთესო ბანკის ჯილდოს საქართველოს მასშტაბით. ეს აღიარება ბანკის წარმატებისა და განვითარებისათვის ჩვენი გუნდის სისტემატური, დაუღალავი მუშაობის შედეგია. ასევე მინდა, გამოვხატო ჩემი მადლიერება წლის საუკეთესო მმართველად დასახელებისათვის და მადლობა გადავუხადო ჩემს გუნდს თანადგომისა და ეფექტური მუშაობისთვის“,** — განაცხადა თიბისი ბანკის დირექტორმა, **ვახტანგ ბუცხრიკიძემ**.

ვახტანგ ბუცხრიკიძეს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის პოსტი 1995 წლიდან უჭირავს. ამ ხნის მანძილზე მან დიდი წვლილი შეიტანა თიბისი ბანკის განვითარებაში. ამჟამად არის საქართველოს საბანკო ასოციაციისა და საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოების წევრი. ვახტანგ ბუცხრიკიძე ასევე საქართველოს ბიზნესასოციაციის ფინანსური კომიტეტის თავმჯდომარეა.

2014 წლის ევროპის საბანკო ჯილდოს საუკეთესო ბანკების სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებად მსოფლიოს ისეთი წამყვანი ბანკები გამოვლინდნენ, როგორებიცაა UniCredit, Citi / HSBC, Deutsche Bank, JP Morgan, Swiss Capital და ა.შ.

**EMEA Finance** მსოფლიოს ერთ-ერთი ავტორიტეტული ფინანსური გამოცემაა, რომელიც იკვლევს ფინანსურ ბაზრებს როგორც ევროპაში, ისე ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში.

EMEA Finance-ის ევროპის საბანკო დაჯილდოება ყოველწლიურად ავლენს — საუკეთესო საცალო და საინვესტიციო ბანკებს, ბროკერებს, მრჩევლებსა და ბანკების მმართველებს მათი ეფექტურობის მიხედვით.

## არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

*მე-4 გვერდიდან*

ბადურამ, არაფერი, ხალხს ნუ ამწარებთო. პიროვნული დაპირისპირება კარგად მესმის, მაგრამ ხალხს რატომ იმბოხებ? სალომემ მიპასუხა, ამას მეც ვერ ვიგებო.

**— მიშამ ინტელიგენციას ჩარეცხილები რომ გიწოდათ, გეწყინათ?**

— დიახ, მეწყინა, 40 წლის ზემოთ ხეც არ მინდაო. თვითონ რამდენი წლისაა, ასე, მოჩვენებასავით რატომ დადის? კაცო, ერთი ევროპული ქვეყანა დამისახელე, სადაც პრეზიდენტი წავიდა, ორი ვადა ამოწურა და მერე დარბოდეს, ამა თუ იმ სახით მოვბრუნდებიო. მაშინ იმ პუტინს რას ერჩის?

**— მიშას დაბრუნების გეშინიათ?**

— რასაკვირველია — ქვეყნისგან აღარაფერი დარჩება. მაგის გენეტიკაზე ამიტომ წავედი — ბაბუამისი გივი ალასანია, არ ვიცნობდი, მაგრამ არაჩვეულებრივი კაცი ყოფილა. ბებია, მიშას პრეზიდენტობის დროს, არ შეგაწუხებდა, პრეზიდენტის ბებია ვარო, გაბეყილი არ დადიოდა და რა გინდათ ამ მზიასგან?

**— მე — არაფერი, უბრალოდ, ბებიაზე თავად მიშა ლაპარაკობდა...**

— ბებიასგან რაღაც ესწავლა... მაგას რომ თავისი ბებია უნდოდა, სხვა ბებიები უპატრონონი, ჩარეცხილები, სამსახურიდან გაყრილები უნდა ყოფილიყვნენ? ამაში ტყუის და ამიტომაა საშიში მოვლენა. გენეტიკურად სხვა ტიპი უნდა ყოფილიყო და ასეთი უსისხლო და უხორცო, რა ვიცი, როგორ გაიზარდა! ისეთ გარემოშია გაზრდილი, ძალიან დამწვარი ქართველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასეთი ანტიქართველი რომ არის, რაღაც ძალების მიერაა...

**— სატანურ ძალებს გულისხმობთ?**

— არ ვიცი...

**— სატანის გჯერათ?**

— სატანიზმის მჯერა, მაგრამ უფრო რეალური ძალების...

**— მასონების?**

— მასონიზმი ყბადაღებულია, მაგრამ არსებობს, ალბათ, რაღაც ძალები, რომლებიც პოლიტიკას ძალიან ძლიერად ატრიალებენ. ამ ძალების გამტარებელია და ამიტომ არიან ყველანი უკრაინაში გადაყრილები — მთელი გუნდი წაიყვანა, ესე იგი, ვიღაცას რაღაცაში სჭირდება. ვანო, ეს შენ უნდა გაარკვიო, რა ძალებია, რომლებიც ქვეყანას ანგრევენ. ამიტომ, ამ მთავრობას რაღაცებს ხშირად ვპატიობ.

**— პატიება თქვენი ნებაა, მაგრამ ახლახან, დასავლეთ საქართველოში ვიყავი, რამდენიმე თანამდებობის პირს შევხვდი და ყველამ მითხრა, ზემოდან გვეუბნებიან, გაკეთებული საქმეები არ გააპიაროთო...**

— ეს სიბრიყვეა!

**— ესე იგი, პიარი კარგია?**

— რასაკვირველია, რად უნდა ლაპარაკი!

**— ბიძინა ივანიშვილი რატომ მოგწონთ?**

— ბიძინა ივანიშვილი, რასაც ვუყურებ, ერთადერთია, ვისაც დიდი კაპიტალი საქართველოში იმით არ დაუგროვებია, რომ პარ-



ლამენტში ან მთავრობაში ცალ-ცალი კალოშით მოვიდა. მაგის ბიოგრაფია რომ წავიკითხე, ჩამოვედი თბილისში, ვრეცხავდი, დედაჩემმა 50 მანეთი მიშოვა და ისე გამომიშვაო, სულ ყელში მომიჭირა — ჩემი შვილები მაშინ უზრუნველყოფილნი იყვნენ... რაც ამათ ეძებეს, რომ მის კაპიტალთან დაკავშირებით რაღაც შავი გზა ეპოვათ, მაგრამ ვერ იპოვეს, ესე იგი, რა ტვინი ჰქონია...

**— თუ ასეთი ტვინი აქვს, ქვეყანას რატომ ვერ ალაგებს?**

— ჭირი მოგვაშორა! კაცო, 60 წლით იყვნენ მოსულები!

**— ეს ვინ გითხრათ?**

— ვიცი და ამიტომ ვამბობ. წარმოგიდგენიათ, ეგენი სამოცი წლით რომ ყოფილიყვნენ, აღარავინ დარჩებოდა — აღარც ვანო იქნებოდა და აღარც — ლალი.

**— ისე, აღიარეთ, რომ ვანოები მაგრები ვართ!**

— კი, მაგრები ხართ!

ჩემი გადმოსახედიდან, ბიძინამ გააკეთა უზარმაზარი საქმე — ინტელიგენცია გადაარჩინა. ვინც პოლიტიკაში იყო, ყველა პარლამენტში შეიყვანა და რაღაცას თუ ვერ აკეთებენ, რა ქნას ბიძინამ, ხალხს მთვარიდან ხომ არ ჩამოიყვანდა?

**— ბოლოს და ბოლოს, ე.წ. ივანიშვილის პენსია, სამი თვე რომ არ გაძლევდნენ, აიღეთ?**

— დიახ, ავიღეთ. რატომ არ კითხულობ, სამი თვე რატომ არ იყო? — სამინისტროებში ხანდაზმული ხალხია...

**— ანუ, ვიღაც ფულს „ტეხავდა“?**

— არ ვიცი... ასე ამბობენ...

**— სამივე თვის მთლიანად აიღეთ?**

— დიახ.

**— ყოფილი პრემიერი რამდენს გიხდით?**

— თვეში 1000 ლარს და ამით ვცხოვრობთ...

**— ...შორენა გენატრებათ?**

— (იღიმება) მოსანატრებელია... ქართულ ლიტერატურაში ხანდაზმული ქალის ანუ ოთარაანთ ქვრივისა და რომანტიკული გმირის, შორენას გარდა, კიდევ ვინმე გეგულება?

**— შეგიძლიათ, კრიტიკულ მომენტში ისეთი რადიკალური გადაწყვეტილება მიიღოთ, როგორც შორენამ მიიღო და ქარაფიდან გადახტა?**

— შორენა სიყვარულს შეეწირა, მეფეს ებრძოდა და ყველაფერი დაკარგა

**— თქვენ ყოფილ მეფეს ებრძვით...**

— დღევანდელ შორენას ანუ მე, ამის უფლება არ მაქვს, თუმცა ხშირად მიფიქრია, თავი ხომ არ ჩამოვიკიდო-მეთქი. დღევანდელი შორენა ქვეყნის გადარჩენისთვის იბრძვის! საერთოდ, ძალიან მძიმე კითხვაა. „დიდოსტატს“ რეფრენად მეფე მიჰყვება, შორენაც და არსაკიძეც სიმბოლოები არიან...

**— დღეს მეფის სიმბოლო ვინაა — მიშა, ბიძინა თუ..?**

— მიშა — არავითარ შემთხვევაში! ბიძინა უფრო უახლოვდება, რადგან საქართველო ედარდება! მიშა ქვეყანას სულ ღალატობს, რა გინდათ, ბიძინამ როდის უღალატა?

**— ივანიშვილს იცნობთ?**

— სამჯერ მყავს ნანახი — პანაშვიდზე.

**— ქალბატონო ლალი, გოგა ხაინდრავამ „9+1“-ში, რომელსაც ბიძინა ივანიშვილის იდეით იღებს, რამე როლი რომ შემოგთავაზოთ, დათანხმდებით?**

— გოგა ძალიან მიყვარს და იცი, რატომ? — გოგას და ერეკლეს პირველი ფილმი — „ავტოპორტრეტი“ საუკეთესო ათეულშია შესული. არც 9 აპრილი იყო ადვილი გადასაღები და ჟვანიას დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობაზე იყო, პირველი გამოვიდა...

**— „9+1“-ში მიშას ბებიის ან დედის როლი რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?**

— არა. ჩემთვის, მაგალითად, უფრო საინტერესო აფრასიძეების დედის ან ნორა კვიციანის როლი იქნება.

**— ...შეგიძლიათ, საკუთარ თავს მიუტევოთ?**

— ვანო, როგორც ჩემს შვილს, გეხვეწები, ხმამაღალ განცხადებად ნუ ჩამითვლი: შემიძლია, რაღაც არ ვთქვა, მაგრამ არ არსებობს, მოვიტყუო. ამ წუთას ჩემ ცხოვრებას თვალი გადავავლე და მისატევებელი არაფერი ჩამიდენია. წმინდანი არ ვარ და პატარ-პატარა შეცდომები მაქვს, მაგრამ ისეთი, რითიც სხვა განადგურდებოდა, არაფერი გამიკეთებია.



# გიორგი პაპუაშვილს „ახალგაზრდა ადვოკატები“ თვალთმაქცობაში ამხელენ

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი და ადვოკატი ნანა წულაძე საქართველოს მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილს საგანგებო განცხადებით მიმართავენ. ადვოკატები სახელმწიფოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მიერ 2015 წლის 17 მარტს მიღებული გადაწყვეტილების შეჩერებასა და შესაბამისი სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებას სთხოვენ. ამ საკითხზე, რომელზეც „ვერსიაში“ დეტალურად უკვე ვწერდით, „ახალგაზრდა ადვოკატები“ სპეციალურ პრესკონფერენციას დღეს, 6 აპრილს გამართავენ.**

## საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ სადავო ქონება ოჯახის ახლობელს მიჰყიდა

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი **არჩილ კაიკაციშვილი,** „ვერსიასთან“ საუბრისას, აცხადებს, რომ გიორგი პაპუაშვილმა სრული იგნორირება გაუკეთა საქართველოს მთავრობის საზოგადოებისთვის მიცემულ პირობას, რომელიც ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე სწრაფ და ეფექტურ გამოძიებას ეხებოდა. მისი თქმით, გიორგი პაპუაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ თვალთმაქცური გარიგების გზით, სადავო საცხოვრებელი სახლი გაეყიდა.

**„გიორგი პაპუაშვილი, როგორც ცნობილია, 2007 წლიდან, აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის სახლში ცხოვრობს. ამ საქმეზე სამართლებრივი დავა დღემდე მიმდინარეობს. გიორგი პაპუაშვილისთვის როლანდ ბლადაძის ქონების გადაცემის ფაქტს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი სწავლობს, როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტოფარეხის მისაკუთრებაზე აჭარის ა/რ საგამოძიებო ნაწილში კი, თაღლითობის მუხლით, გამოძიება მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, 2015 წლის 17 მარტს, გიორგი პაპუაშვილმა მოქალაქე გიორგი ლევიძესთან ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა და როლანდ ბლადაძის საცხოვრებელი სახლი 195 000 აშშ დოლარად გაასხვისა. იქიდან გამომდინარე, რომ სადავო ქონებაზე როლანდ ბლადაძის ადვოკატებმა ყადაღის წარმოშობის რეგისტრაცია მოითხოვეს, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გიორგი პაპუაშვილს ნასყიდობის ხელშეკრულების ცნობაზე უარი უთხრა. გიორგი პაპუაშვილმა როლანდ ბლადაძის კუთვნილი ქონების გასხვისების პროცესი დროებით შეაჩერა“,** — აცხადებს არჩილ კაიკაციშვილი.

მისივე თქმით, გიორგი პაპუაშვილი როლანდ ბლადაძის ქონების არაკეთილსინდისიერი შემძენი და მესაკუთრეა. მეტიც, 2015 წლის 17 მარტს, გიორგი ლევიძესთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ფიქტიური და ბათილია, რადგან, არჩილ კაიკაციშვილის შეფასებით, ადგილი აქვს თვალთმაქცურ გარიგებას. „ახალგაზრდა ადვოკატები“ საზოგადოებისთვის საჯაროს ხდის გიორგი ლევიძის ნათესაურ კავშირებს გიორგი პაპუაშვილის ოჯახთან. გიორგი ლევიძე გიორგი პაპუაშვილის ცოლისდის, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტის, ეკა ხოფერიას ყოფილი მეუღლეა:

**„მიღებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი ლევიძე აპირებს, როლანდ ბლადაძის კუთვნილი ქონება მის შვილს გადაუფორმოს, რომელიც ეკა ხოფერიასთან ქორწინების დროს შეეძინა. მიგვაჩნია, რომ გიორგი პაპუაშვილის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, სამართლიანობის აღდგენის პროცესის პირდაპირი დისკრედიტაციაა, რადგან ამ დავასთან დაკავშირებით, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს საკუთარი დასკვნა ჯერ არ წარმოუდგენიათ. სადავო ქონების გასხვისების მცდელობით, გიორგი პაპუაშვილი გამოხატავს უპატივცემულობას კანონიერების, სამართლიანობისა და მართლმსაჯულების პრინციპების მიმართ და გამორიცხული არაა, რომ ამ ქმედებით შესაძლო დანაშაულების დამალვასაც ცდილობს“.**

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართავენ, რათა როლანდ ბლადაძის ჩამორთმეული ქონების საქმეზე შუამდგომლობა დააყენოს და ყადაღის წარმოშობის შესახებ სასამართლოს მიმართოს; ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სთხოვენ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მაქსიმალურად დაიცვას ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის ინტერესების დამცველთა მიმართვიანობა და სააგენტოსთვის წარდგენილი მხარის სამართლებრივი დასაბუთების საფუძველზე, გიორგი პაპუაშვილის ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულება არ სცნოს; „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან ითხოვენ, ხელოვნურად არ გაჭიანურდეს წინადადების განხილვა, რაც სახელმწიფოს მიერ გიორგი პაპუაშვილისთვის ალტერნატიული ფართის შეთავაზებას ეხება.

ადვოკატები საქართველოს საერთო სასამართლოებსაც მიმართავენ, რათა გიორგი პაპუაშვილს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, შეგნებული პრიორიტეტი არ მიენიჭოს და როლანდ ბლადაძის ადვოკატების განცხადებები იმ საბაბით, რომ სადავო ქონებაზე ყადაღის რეგისტრაციის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები თითქოს არ არსებობს, განუხილველად არ დატოვონ. ადვოკატები საქართველოს სახალხო დამცველს სთხოვენ, როლანდ ბლადაძის საქმეზე მონიტორინგი ომბუდსმენის ოფისმა განახორციელოს, რათა სამართლიანობის აღდგენის პროცესში, შერჩევით მართლმსაჯულებას არ ჰქონდეს ადგილი. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელებს, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსაც მიმართავენ, რათა როლანდ ბლადაძის ადვოკატებს მიეცეთ შესაძლებლობა, გადაცემებში — „იმედის კვირა“ და „რეაქცია“ მიიღონ მონაწილეობა:

**„დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მეპატრონეების საყურადღებოდ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჟურნალისტ ეკა ხოფერიას ფაქტორიდან გამომდინარე, გიორგი პაპუაშვილის მიერ ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრების საქმე, ტაბუდადებულია. ამ საკითხზე მსჯელობისგან თავს იკავებს ჟურნალისტი ინგა გრიგოლია. როლანდ ბლადაძის საქმეზე, ბოლო სამი თვის განმავლობაში, ჩატარებული არცერთი პრესკონფერენცია ტელეკომპანია „იმედის“ გადამღებ ჯგუფს არ გაუშუქებია, არადა, აღნიშნულ ბრიფინგებს ამ ტელეკომპანიის ჟურნალისტები სპეციალურად ესწრებოდნენ. მივმართავთ გიორგი ლევიძესა და მასთან ერთად საქართველოს იმ მოქალაქეებსაც, რომლებმაც შესაძლოა, როლანდ ბლადაძის კუთვნილი ქონების შეძენის სურვილი გამოთქვან, ყველა სამართლებრივი დოკუმენტით დადასტურებული ფაქტია, რომ ბინა, რომელიც ქალაქ ბათუმში, გორგილაძის ქუჩა №37-ში მდებარეობს და რომლის საკადასტრო კოდია: 05.23.17.008.01.008, ეკუთვნოდა როლანდ ბლადაძეს. ამ ქონების დასაბრუნებლად. შიდაეროვნული სამართალწარმოება მიმდინარეობს“.**

არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველები გიორგი პაპუაშვილის გადაწყვეტილებებს სასამართლო წესით გაასაჩივრებენ. მისივე თქმით, „ახალგაზრდა ადვოკატები“ ამ ფაქტს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ინსტიტუტებსაც აცნობებენ.



# „ეს იდეა მარაზმია... ხომ არ შეიძლება, დეპუტატმა ყველაფერში ცხვირი ჩაყოს?!“

## ერთის ნაცვლად 5 „უდო“? — პარლამენტში სკანდალი მწიფდება



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**პატიმართა ვადამდე შეწყალების მუდმივმოქმედი კომისიის, ე.წ. უდო-ს გაუქმება დაანონსებულია, თუმცა ამ თემაზე კითხვები მაინც არსებობს. ახალი სისტემის ამოქმედებამდე, პატიმრების ვადამდე გათავისუფლებაზე 5 ადგილობრივი საბჭო იმსჯელებს, რომელიც ამას აქამდეც აკეთებდა. 2-3 თვის წინ, სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ პარლამენტში „ციხის რეფორმა“ და 41 კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტი წარადგინა, რომლის ერთ-ერთი პუნქტიც „უდო“-ს იმ მოტივით გაუქმება იყო, რომ კომისია სასამართლოს გადაწყვეტილებებს ცვლიდა, პატიმრების საქმეებს მიკერძოებულად არჩევდა და ხშირად ეჭვი „ელიტური პატიმრების“ გათავისუფლებაზეც ჩნდებოდა... რამდენიმე დღის წინ, პარლამენტში, ზემოხსენებულ ცვლილებათა პაკეტის მეორედ მოსმენისას, ითქვა, რომ ადგილობრივ საბჭოებში, საპარლამენტო კონტროლის მიზნით, დეპუტატებიც შევლენ. რა გამოდის? — „უდო“-ს 1 კომისიის ნაცვლად, 5 პატარა კომისიას ვიღებთ?**

როგორც სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე კახა კახიშვილი „ვერსიას“ უხსნიდა, ეს ადგილობრივი საბჭოები კანონით არიან ვალდებულნი, ყველა იმ პატიმრის საქმე შეისწავლონ, ვისაც ვადამდე გათავისუფლება კანონით უწევს. საბჭოების პრობლემად თვით სამინისტროც იმას მიიჩნევს, რომ მისი წევრები განსახილველ საქმეებს ვერ აუდიან, ზეპირი მოსმენები იშვიათად იმართება და პატიმრების უმეტესობას საკუთარი საქმის განხილვაზე დასწრება არ შეუძლია. ასევე, არასრულყოფილია საბჭოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმიც. ამიერიდან კი, საბჭოებს დეპუტატებიც დაემატებიან და პარლამენტიც გააკონტროლებს, ვის და როგორ უშვებენ. ასეა თუ ისე, კითხვები არსებობს: რატომ არ შეიძლება ადგილობრივი საბჭოები იქცეს კორუფციის ახალ წყაროდ? თუკი „უდო“-ს კომისია საქმეებს „ელიტური სიებით“ იხილავდა, რატომ არ შეიძლება, რეგიონულ დონეზე, საბჭოებმა მეტი მიკერძოება გამოიჩინონ? რატომ ემატებიან საბჭოს წევრებს პოლიტიკოსები და არა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები? ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, **ეკა ბესელიას,** რომელმაც სამინისტროსა და პარლამენტს შორის ამ შეთანხმების შესახებ გააჟღერა, „ვერსია“ ამ თემაზე ესაუბრა: **„საპარლამენტო კონტროლი აუცილებელია. არავის უთქვამს, რომ საპარლამენტო კონტროლი მუდმივმოქმედ კომისიაში კორუფციის საფუძველი იყო. პირიქით, საპარლამენტო კონტროლი სწორედ იმისთვის არსებობს, რომ რაიმე ტიპის გადაცდომა და უფლებათა დარღვევა გამოირიცხოს. სამინისტრომ, ჩვენთან ერთად, შექმნა ჯგუფი და მუშაობა დაიწყო, როგორი უნდა იყოს ახალი მუდმივმოქმედი ორგანო. რაც შეეხება ადგილობრივ საბჭოებს, როგორც პირველადი გადაწყვეტილების მიმღებ შიდაუწყებრივ ჯგუფს, საპარლამენტო კონტროლი მასაც სჭირდება, რასაც პარლამენტში მხარი ყველამ დაუჭირა. ეს სწორიცაა, როცა საქმე პატიმრის გათავისუფლების ან არგათავისუფლების საკითხს ეხება. ხოლო მესამე მოსმენისთვის ჩამოყალიბდება მოდელი, რომლის მიხედვითაც პარლამენტის წევრს ეცოდინება, რა ფორმით მიიღებს ამ საბჭოების მუშაობაში მონაწილეობას. ერთ წევრად, ჩვენი კომიტეტიდან, გედევან ფოფხაძეა არჩეული, საპარლამენტო ფრაქციებიდან კი — გოჩა ენუქიძე. კითხვები არც ერთის მიმართ არ არსებობს და ვერც იარსებებს. ვერც ადგილობრივ საბჭოებში ვხედავ „უდო“-ს კომისიის მსგავს საფრთხეებსა და ხარვეზებს — საბჭოები მხოლოდ პირველ დონეზე წყვეტენ, ეკუთვნის თუ არა პატიმარს გათავისუფლება, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება კი პატიმარს სასამართლოში შეუძლია. ეს საბჭოებიც რომ გავაუქმოთ, ვადამდე გათავისუფლების განმხილველი ორგანო საერთოდ აღარ იარსებებს, თუმცა ფიქრი ამაზეც შეიძლება — მახსოვს, შევარდნაძის დროს, ამ საკითხს პირდაპირ სასამართლო წყვეტდა. სააკაშვილის ხელისუფლების დროს კი ამ უფლებამ სასჯელაღსრულების სისტემაში გადაინაცვლა. საბოლოოდ, კომისია იქნება, საბჭო თუ სხვა ორგანო, ამ საკითხზე ევროკავშირის ექსპერტებთან ერთად ვიმუშავებთ და დავადგენთ, რომელია ჩვენი ქვეყნისთვის საუკეთესო მოდელი. რა თქმა უნდა, ამ ახალ მოდელში კვლავ იქნებიან დეპუტატები, რადგან საპარლამენტო კონტროლის გაუქმება ცუდი ტონია და ეს ნეგატიურ გამოხმაურებას გამოიწვევს. დღეს ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკა გვაქვს და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოები საპარლამენტო კონტროლს მუდმივად უნდა გრძნობდნენ“.**

ხელისუფლების შეფასებებს ადვოკატი და უფლებათდამცველი **ლალი აფციაური** არ ეთანხმება და საბჭოების უმთავრეს პრობლემად სწორედ იმას მიიჩნევს, რასაც ბესელია დადებით მხარედ ასახელებს — პატიმრებს განაჩენთა გასაჩივრების რეალური ბერკეტები არ აქვთ: **„ქვეყანა ხომ გადაარჩინეს და ახლა, ადგილობრივი საბჭოების მუშაობაშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა? ქვეყანას მიხედონ, თავიანთი ფუნქცია იცოდნენ! ადგილობრივ საბჭოში უნდა იყოს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, იურისტი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეებში ერკვევა და იცის, რა არის დასაშვები და გასაკეთებელი. დეპუტატებმა ქვეყანას მიხედონ, რომელიც თავზე გვემხობა, სიღატაკის ზღვარზე მისულ ადამიანებს მიხედონ. დიდი ბოდიში, მათ შორის, ჩემს მეგობრებთან, მაგრამ ხომ არ შეიძლება, დეპუტატმა ყველაფერში ცხვირი ჩაყოს?! ეს იდეა ძირშივე მარაზმია! ვინმეს სჯერა, რომ დეპუტატები დასხდებიან, 150 საქმეს წაიკითხავენ, პატიმრების ყოფაქცევას დეტალურად გაეცნობიან და გადაწყვეტილებას ამის მიხედვით მიიღებენ?! თავზე დაგვეხმო მთელი ქვეყანა, ესენი კი რით არიან დაკავებულნი — დეპუტატის საქმე არ არის ადგილობრივი საბჭოების კომისიებში ჯდომა. ზოგადად, „უდო“-სა და საბჭოების მუშაობაში ნაკლებად ვერევი, მაგრამ ერთ-ერთი საქმე, როცა პატიმარს ვადამდე გათავისუფლებაზე უარი უთხრეს, გავასაჩივრე და კანონში დიდ ხარვეზს გადავაწყდი, რომლის მიხედვითაც, მოსამართლე საქმეს რეალურად არც განიხილავს. კანონში დიდი ხარვეზია — სასამართლოში კომისიის გადაწყვეტილება, პრაქტიკულად, არ საჩივრდება, მოსამართლეები საბჭოს გადაწყვეტილების განხილვაზე უარს გვეუბნებიან. გამოდის, თუ კომისია უარს ამბობს პატიმრის გათავისუფლებაზე, პატიმარს გასაჩივრების რეალური ბერკეტი არ რჩება. აი, ამას მიხედონ დეპუტატებმა!“**

# რატომ უნდათ „არემჯის“ გაჩერება, ანუ ნაყოფია ნაყოფიას წინააღმდეგ



გიორგი იაშვილი

3 აპრილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქვემო ქართლის რეგიონს სტუმრობდა. პრემიერი ქვემო ქართლის შვიდი მუნიციპალიტეტის მერებს, გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს მარნეულის გამგეობის შენობაში შეხვდა. გამგეობაში მისულ პრემიერს „არემჯი გოლდის“ თანამშრომლები დახვდნენ და დახმარება სთხოვეს. პრემიერი მათ დაპირდა, რომ ხელისუფლება კომპანიის ფუნქციონირების გასაგრძელებლად ყველაფერს გააკეთებს.

შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც საყდრისის საბადოზე აფეთქება მოხდა, არასამთავრობო ორგანიზაცია საყდრისის დაცვის კომიტეტმა ეს გააპროტესტა. მალევე გაირკვა, რომ ამ ყველაფრის უკან პარლამენტარი კობა ნაყოფია იდგა და კომპანიის მუშაობის მოწინააღმდეგეები მასთან არა მხოლოდ კონსულტაციებს გადიოდნენ, არამედ მისგან ფინანსდებოდნენ კიდეც. ახლა კი ირკვევა, რომ იგივე ნაყოფია ამავე კომპანიის აქციების 22%-ს დღემდე ფლობს.

კომპანია „არემჯის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი დიმიტრი ტროიცკი არ უარყოფს, რომ ნაყოფია დღემდე 22%-ის მფლობელია, თუმცა, მისივე ინფორმაციით, ნაყოფია წილის მფლობელი მათ მიერ ბიზნესის შეძენამდეც იყო. ტროიცკიმ ისიც თქვა, რომ საყდრისის საბადოს აღმოჩენებისთვის განკუთვნილი მუზეუმის მშენებლობა, მის კონცეფციაზე მუშაობის დასრულების შემდეგ დაიწყება.

**„ამ ეტაპზე ერთობლივად ვმუშაობთ მუზეუმის კონცეფციაზე, რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც კონცეფცია დამტკიცდება და დასრულდება პროექტირება, შევუდგებით პროექტის რეალიზებას. მშენებლობა გაგრძელდება დაახლოებით ერთი წელი. ვფიქრობ, ეს იქნება ერთ-ერთი საინტერესო ადგილი რაიონში, სადაც განთავსდება აღნიშნულ მიდამოებში ნანახი აღმოჩენები. რაც შეეხება კომპანიის აქციონერებს, ამ ეტაპზე 22% წილის მფლობელი კობა ნაყოფიაა, ის ფლობდა წილს მანამ, სანამ ჩვენ ვიყიდდით ამ ბიზნესს“,** — განაცხადა ტროიცკიმ.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მთავარი ისაა, რატომ ცდილობდა ნაყოფია კომპანიის მუშაობის შეფერხებას მაშინ, როცა ამავე კომპანიაში წილი აქვს და წესით, მისი ამუშავება უნდა აწყობდეს?! როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „არემჯის“ გაჩერება, მინიმუმ, სამი ათასი ოჯახის უკმაყოფილებას გამოიწვევდა. სამი ათასი ოჯახი კი რეალურად ათი ათას კაცზე მეტია და, სავარაუდოდ, სწორედ ამ ათიათასკაციანი უკმაყოფილო მასის შექმნა და შემდეგ ხელისუფლების წინააღმდეგ მათი გამოყენება იგეგმებოდა. ამიტომაც ამბობენ იმ არასამთავრობოების წევრები, რომლებიც საყდრისთან ღამეებს ათევდნენ, დაფინანსება ნაყოფიასგან მოდიოდაო. კაცს ბიზნესინტერესები აქვს და იმავე ბიზნესს თავად ვნებს. რბილად რომ ვთქვათ, ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და წესით, ამ ყველაფერს სამართლებრივი გაგრძელებაც უნდა ჰქონდეს.



## მორწმუნეებს ხარების დღესასწაულზე ზღვის პროდუქტის მიღება შეეძლებათ

**„ქართველი ადამიანი გულით სუფთაა, ამიტომ უფალი შეიწყალებს“,** — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

**„ჩვენ უფალს შევთხოვთ, დალოცოს საქართველოს წარსული, დღევანდელი დღე და მომავალი. ჩვენ, მართალია, ცოდვებში ვვარდებით, მაგრამ უფალი ხედავს ქართველი ადამიანის გულს. ქართველი ადამიანი გულით სუფთაა, ამიტომ უფალი შეიწყალებს საქართველოს. გამთლიანდება საქართველო და ჩვენი სახელები ჩაწერილი იქნება „წიგნსა ცხოვრებისასა“,** — აღნიშნა უწმინდესმა.

ამასთან, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას ბრძანა, რომ ხარების დღესასწაულზე ზღვის პროდუქტით ხსნილი იქნება.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, ხარების დღესასწაულთან დაკავშირებით სამშაბათს ასევე აღევლინება წირვა-ლოცვა ხარების ტაძარში, რომელიც სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე მდებარეობს.

**„სამშაბათი არის ხარების დღესასწაული. ხარების ტაძარია აქ და საზეიმო წირვა-ლოცვა იქ შესრულდება. კალენდარში წერია, რომ ხსნილია თევზით, საქართველო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილი ქვეყანაა. ასევე ტაძრის დღესასწაულია, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, გავახსნილოთ ხიზილალით და ზღვის ნაწარმით. თქვენ შეგიძლიათ, მიირთვათ ხიზილალა და ზღვის ნაწარმი. გილოცავთ და ღმერთმა ინებოს, რომ ყოველმა მწუხარე ადამიანმა გაიხაროს, ყოველი ავადმყოფი ადამიანი ძლიერი გახდეს“,** — განაცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში.

***„ინტერპრესნიუსი“***

გამწვანების აქცია

# $m^2$-მა თბილისში 100 ნერგი დარგო






დეველოპერული კომპანია „$m^2$ უძრავი ქონების“ წყალობით, თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე, მხატვრების დასახლების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი გამწვანდა — დეველოპერული კომპანიის წარმომადგენლებმა, ამ ადგილას 100 ძირი ნერგი დარგეს. $m^2$-მა ნერგების სახეობები ადგილობრივი რელიეფისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დენდროლოგის რეკომენდაციითა და ქალაქ თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურთან შეთანხმებით შეარჩია. გამწვანების აქციის ფარგლებში დაირგო: კედარის, ელდარის ფიჭვის, კვიპაროსის, იასამნისა და იფნის ნერგები. მნიშვნელოვანია, რომ დეველოპერული კომპანია, ერთი წლის განმავლობაში ნარგავების მოვლა-პატრონობას დააფინანსებს. ამაზე კი, პროფესიონალი აგრონომები იზრუნებენ.

„$m^2$ უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ირაკლი ბურდილაძის განმარტებით, დეველოპერული კომპანია განაგრძობს მისი სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის განხორციელებას და მსგავს აქციებს, თბილისის სხვადასხვა უბანში, მომავალშიც აუცილებლად მოაწყობს.

**ირაკლი ბურდილაძე: „ასეთ აქციებს აქამდე ძირითადად იქ ვაწყობდით, სადაც ჩვენ კომპლექსებს ვაშენებთ. ჩვენი კომპლექსების ფარგლებსგარეთ კი, ეს პირველი აქციაა, რაც იმის მანიშნებელია, რომ კომპანია, ზოგადად, ქალაქის გამწვანებაზე ზრუნავს. ჩვენი კომპანიის პოლიტიკის ნაწილია, თბილისის გამწვანება და პოტენციური მომხმარებლებისთვის, დედაქალაქის მაცხოვრებლებისთვის უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნა. ეს კონკრეტული აქცია ჩვენი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება. ამ პოლიტიკას კი, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ და თბილისის სხვა უბნებშიც, შესაბამის ნერგებს დავრგავთ. რამდენიმე თვის წინ მივმართეთ თბილისის მერიას, გაეწია რეკომენდაცია, სად შეიძლებოდა ნერგების დარგვა. ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობის შედეგია, რომ მერიამ სწორედ ეს ლოკაცია შემოგვთავაზა გასამწვანებლად“.**

**ანა სტურუა** $m^2$-ის თანამშრომელია. იგი, გამწვანების აქციაში მონაწილეობდა და კოლეგებთან ერთად, სიხარულით რგავდა ხეებს. „ვერსიასთან“ საუბრისას, ანამ განაცხადა, რომ ხეების დარგვა, მისთვის სასიამოვნო და საამაყოა: **„$m^2$-ში დაახლოებით წელიწადნახევარია ვმუშაობ და უკვე მეორედ ვმონაწილეობ გამწვანების აქციაში, რაც ჩემთვის ძალიან საამაყოა. საამაყოა ისიც, რომ ვარ ისეთი კომპანიის გუნდის წევრი, რომელიც, თავისი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, დედაქალაქის გამწვანებაზე ზრუნავს“.**

$m^2$-ის გამწვანების აქციას ესწრებოდნენ ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებლებიც. ისინი სიხარულს ვერ მალავდნენ, რადგან როგორც აღმოჩნდა, აქ ხეების დარგვა, მათი საკმაოდ დიდი ხნის სურვილია. **„დიდი ხანია, გვსურს, აქ ხეების დარგვა. მერიას მივმართეთ თხოვნით და ამ ტერიტორიაზე სკვერის გაშენების ნებართვა მივიღეთ. ძალიან გაგვიხარდა, როდესაც შევიტყეთ, რომ $m^2$ აქ იშვიათი ჯიშის ხეებს დარგავდა. ჩვენც ვიაქტიურეთ, ვურჩიეთ, კონკრეტულად სად იქნებოდა უკეთესი ნერგების დარგვა. ეს ნამდვილად საშვილიშვილო საქმეა — აქაურობა გამწვანდება და გალამაზდება. მადლობის მეტი რა გვეთქმის. სასიამოვნოა, რომ კომპანია დედაქალაქის გამწვანებაზე ასე ზრუნავს“,** — განაცხადეს ადგილობრივებმა და იმედი გამოთქვეს, რომ 100-ვე ნერგი გაიხარებს. დეველოპერული კომპანია „$m^2$ უძრავი ქონების“ მიზანია, ყველა მიმდინარე და სამომავლო დეველოპერული პროექტების ფარგლებში, იზრუნოს მოსახლეობისთვის კომფორტული, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. შესაბამისად, მისი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანია ზრუნავს: გარემოს დაცვაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნასა და ადგილობრივი საგანმანათლებლო კერების მხარდაჭერაზე.

***ნინო ლურსმანაშვილი***

პატიმარი №0578

# აზერბაიჯანელებმა ყაჩაღები ჩაქოლეს

## ოთხი გვამი და ოქროთი სავსე სამლიტრიანი ქილა



ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, საქართველოდან აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ მასობრივი გადინება დაიწყო — წლობით ნაშენები მეგობრული დამოკიდებულება თითქოს თვალსა და ხელს შუა გაქრა. აზერები ტოვებდნენ ყველაფერს, კაპიკებში ყიდდნენ სახლებს და ისტორიულ სამშობლოში გარბოდნენ. ამას კარგად იყენებდნენ კრიმინალები, აზერბაიჯანელებს სწრაფად წასვლას სთავაზობდნენ და ამ სისწრაფეში, ათასებად შეფასებულ ქონებას კაპიკებში ართმევდნენ...

„20 წელია, ერთმანეთს ვიცნობთ. 20 წელია, ოჯახებით ვმეგობრობთ. ამიტომ გენდობი და მარტო ამიტომ არა, სხვა გზაც არ მაქვს, ამას ან მესაზღვრეები წამართმევენ, ან საზღვართან კრიმინალები დამაყაჩაღებენ. აქ დავიბადე, მე კი არა, ბაბუაჩემიც აქ დაიბადა. საქართველოა ჩემი სამშობლო და აქედან საბოლოოდ წასვლა არ მინდა. თუ სიტუაცია გამოსწორდა, დავბრუნდები, თუ არადა, მაშინ დავბრუნდები, როცა ვითარება დაწყნარდება ცოტა და ამის გადატანა სახიფათო არ იქნება“, — ელშად ნასიბოვი ძველ მეგობარს, დავით ხ-ს მისივე სახლში ესაუბრებოდა და თან ფეხებთან მიდგმულ ტომარას ნერვიულად დაჰყურებდა.

„არ არის პრობლემა, დატოვე, რაც გინდა, თუ გინდა, იარაღი იყოს და შეგინახავ. როცა უნდა ჩამოხვიდე, ხელუხლებელი დაგხვდება. მე თუ არ დაგხვდები ცოცხალი, ჩემი შვილები დაგახვედრებენ, გპირდები“, — მშვიდად უთხრა დავითმა.

ელშადამ თავი დაიქნია, წამოდგა, დავითის ოჯახს დაემშვიდობა და წავიდა. მეორე დღეს ელშადა აზერბაიჯანის გზას დაადგა. ჯერ სოფელ ულიანოვკაში დააყაჩაღეს, შემდეგ საზღვარზე მესაზღვრეებმა გაჩხრიკეს, თუმცა ვერაფერი უნახეს და ისტორიულ სამშობლოში გაუშვეს. ამის შემდეგ მოვლენები როგორც განვითარდა, ყველას ახსოვს: აზერბაიჯანელთა უმრავლესობა საქართველოში დაბრუნდა. დაბრუნდა ელშადაც თავის ოჯახთან ერთად და რამდენიმე დღეში დავითთან მივიდა. მეგობრის სახლში შესული მიხვდა, რომ არ ულხინდათ. საქართველოში მაშინ თავის გატანა ძალიან ჭირდა და თუ ვინმეს რამე ჰქონდა, გასაყიდად მიჰქონდა და საარსებო საკვებს ყიდულობდა. აზერბაიჯანელმა ჯერ დავითი მოიკითხა, მერე თავისი ძვირფასეულობა და გაოცდა, როცა სამლიტრიანი ქილა ისევ ხელუხლებელი გამოუტანეს.

„დავიჯერო, არ გაგიჭირდათ?! ერთი ნივთი მაინც არ გაგიყიდიათ?“ — სევდიანი ღიმილით თქვა ელშადამ.

„და მერე შენთვის რა მეთქვა? ის, რაც მომაბარე, ვერ გავუფრთხილდი-მეთქი?! სისულელეა მაგაზე საუბარი. მოდი, თითო დავლიოთ“, — უპასუხა დავითმა და ჭაჭის არაყი ჩამოასხა. სამი ჭიქის მერე, ელშადა წამოდგა, ქილას თავი მოხადა და ზემოდან დადებული ბრილიანტის სამეული ამოიღო.

„ეს თავიდანვე ასე მქონდა ჩაფიქრებული. თუ ძმა ხარ, უარი არ მითხრა, იმიტომ მიდევს სულ ზემოთ. შენი მეუღლის საჩუქარი იყოს“, — თქვა აზერბაიჯანელმა, სამეული მაგიდაზე დადო და ვიდრე დავითი რამეს ეტყოდა, ოთახიდან გავიდა.

ვისაც ის დრო არ ახსოვს, დაჯერება გაუჭირდება, მაგრამ იმ ბრილიანტის სამეულით დავითის ოჯახმა ექვსი თვე თავი გაიტანა, მერე კი...

„მამა, ელშადას სოფელში უბედურება ხდება. საყაჩაღოდ შევიდნენ და მგონი, სწორედ ელშადს აყაჩაღებენ“, — ერთ დილით დავითთან უფროსი შვილი მივიდა და ცუდი ამბავი უთხრა. დავითმა მაშინვე მანქანის გასაღები აიღო და, შვილთან ერთად, აზერბაიჯანელების სოფელში წავიდა. სოფლის შესასვლელთან უცნაური სურათი დახვდა: პოლიციელებს სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა არ უშვებდა.

„რა ხდება?!“ — ჰკითხა პოლიციის უფროსს დავითმა.

„რაღა რა ხდება?! ოთხი ბიჭი შევიდა საყაჩაღოდ, სოფელმა გაიგო, ხმაური ატყდა, ახლა ის ბიჭები სადღაც ჩიხში ჰყავთ მიმწყვდეული, ჩვეულებრივი ომია — სროლის ხმა ხომ გესმის?! სოფელი არ გვიშვებს, გზა აქვს გადაკეტილი. ნაწილი აქ, ჩვენ გვეომება, ნაწილი — იმ ყაჩაღებს. აღარ ვიცი, რა ვქნა. ჰო, ის შენი ძმაკაცი რომ არის, ელშადა, იმის სახლს დაეცნენ, იმას აყაჩაღებდნენ“, — უთხრა პოლიციის უფროსმა.

დავითი გაფითრდა, აზერბაიჯანელებთან მივიდა და სთხოვა, ეგებ, შემიშვათო, მაგრამ უარი მიიღო. დაახლოებით, ორი საათის შემდეგ, სოფელმა გზა გახსნა და პოლიციის კორდონს დავითი თავის მანქანით გაჰყვა. იმ ჩიხში, სადაც ყაჩაღები ჰყავდათ მომწყვდეული, ხალხი ირეოდა. პოლიციელებმა ირგვლივ მიმოიხედეს, შემდეგ მოსახლეობას მიუბრუნდნენ და ჰკითხეს:

— სად არის ის ხალხი?!

აზერბაიჯანელებმა ქვების გროვაზე მიუთითეს. ერთი შეხედვით, ეს ქვების გროვა მანქანიდან დაცლილ ხრეშს ჰგავდა — ქვა, დაახლოებით, სამი მეტრის სიმაღლეზე ეყარა.

„ეს რა არის? იმათზე გეკითხებით, ვინც გაყაჩაღებდათ? გაგექცნენ ხომ?!“ — იკითხა პოლიციის უფროსმა.

აზერბაიჯანელებმა ირონიულად გაიღიმეს და ისევ ქვების გროვაზე მიუთითეს. პოლიციის უფროსი გაფითრდა, თანამშრომლებს უბრძანა, ქვები გადაყარეთო და ნახევარ საათში ჯერ ერთი გვამი გამოჩნდა, მერე — მეორე, მესამე და... სოფელს ყაჩაღებისთვის სასტიკი განაჩენი ჰქონდა გამოტანილი: ჩაქოლა. ოთხივე მკვდარი იყო, სახე თითქმის არ უჩანდათ, თუმცა პოლიციის უფროსმა ოთხივე ამოიცნო.

„რა უნდა ვქნა ახლა? სოფელს ხომ ვერ დავსჯი?! ან ვის გინდა, ხელი დაადო? ნახე, ყველა აქაა“, — სასოწარკვეთილი ამბობდა პოლიციის უფროსი.

გვამები სასწრაფო მანქანებში გადაანაწილეს და იქაურობას გაეცალნენ. მარტო დავითი დარჩა შვილთან ერთად და მოსახლეობა მასაც აგრესიულად უყურებდა, ეგა ხართ ქართველებიო. დავითმა ელშადას ნახვა მოინდომა, თუმცა უთხრეს, ისიც საავადმყოფოშია, ყაჩაღებმა ყური მოაჭრეს და დააუთოვესო. დავითი საავადმყოფოში წავიდა. ელშადა ლოგინზე იყო მისვენებული. თავი მთლიანად დაბინტული ჰქონდა, სხეულზე მალამო ესვა და ტკივილისგან კრუსუნებდა. დავითის დანახვაზე თავი ვერ შეიკავა და ატირდა. ტიროდა მისი ცოლიც, რომელმაც, სხვათა შორის, ტირილში ახსენა, რომ ყაჩაღები სწორედ იმ სამლიტრიან ოქროს ითხოვდნენ. დავითი გაშრა, უნდოდა თუ არა, ეჭვი იმაზე იქნებოდა, რომ სწორედ მას წამოსცდა ვინმესთან რამე. შვილსაც გახედა, კარგ დღეში ისიც არ იყო, თუმცა მამის გამოხედვას და კითხვას უსიტყვოდ მიხვდა და უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია.

„ელშად, შენ თუ ფიქრობ, რომ მე ვინმეს რამე ვუთხარი... ეგ რომ მდომოდა, ჩემთან როცა იყო ის ოქრო, მაშინ გავათამაშებდი დაყაჩაღებას და უფრო მარტივი იქნებოდა. გესმის?!“, — დავითმა არეულად დაიწყო, თუმცა ელშადამ გააჩერა.

„არაფრის ახსნა არ გინდა. ჩემი ბრალია, მე წამომცდა ერთგან ეგ ამბავი, მთვრალი ვიყავი და მოვყევი ყველაფერი, ისიც ვთქვი, შენი როგორი მადლიერი ვარ. ჰოდა, სადაც ეგ წამომცდა, იქიდან ერთი ვიცანი ანუ საკუთარი თავი თავადვე ჩავუშვი, მაგრამ არ მეგონა, თუ გამიმეტებდნენ. ისიც ხომ მეგობრის შვილია?! შენც იცი, გელას ბიჭია... გელასთან ვიყავი სტუმრად, მაგრად უჭირთ მაგათაც, ოქროს ბეჭედი მივუტანე, გაყიდეთ და იხეირეთ-მეთქი. გელა სახლს პატრონობდა ჩემსას და მაგიტომ ვაჩუქე. რა ქნეს, დაიჭირეს ისინი?!“ — იკითხა ელშადამ და ცხადი იყო, რომ სოფელში მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა.

ახლა დავითი ჩავარდა ცუდ დღეში. გელასთანაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა, მის ოჯახსაც იცნობდა, მის შვილსაც და ახლა ისიც იცოდა, რომ იმ ოთხიდან ერთ-ერთი გარდაცვლილი მეგობრის შვილი იყო.

„ჰო, ოთხივე პოლიციამ წაიყვანა. როგორ მოხდა ყველაფერი?!“ — ჰკითხა დავითმა.

„დაძინებას ვაპირებდი, გარეთ გამოვედი სიგარეტის მოსაწევად და მაშინვე იარაღი დამადეს და უკან შემაბრუნეს. წამებში გაგვთოკეს და პირდაპირ მითხრეს, სამლიტრიანით რომ ოქრო გაქვს, ის გვინდაო. მივხვდი, ჩაშვებული ვიყავი და ნიღბიანებს დავაკვირდი. გელას ბიჭი ვიცანი, მაგრამ არაფერი მითქვამს, უბრალოდ, მივახვედრე, არაფრის მომცემი არ ვარ-მეთქი. მერე დაუთოება დამიწყეს, მერე ყური მომაჭრეს და თურმე, ამ დროს მეზობელს რაღაც სჭირდებოდა და კარებს მოადგა. მისი სილუეტი ფანჯარაში დავინახე, მივხვდი, სოფელი მომეშველებოდა და იმასაც მივხვდი, ამ სულელებმა გარეთ რომ არავინ დატოვეს. ცოტა ხანში ჩოჩქოლი ატყდა, გაიხედეს და დაიძახეს, ალყაში ვართო. ჩვენ თავი დაგვანებეს და სროლით გაიქცნენ. მეზობლებმა საავადმყოფოში წამომიყვანეს, სროლის ხმა მესმოდა გზაზე, მეტი არაფერი ვიცი. ახლა გელას როგორ ჩავხედო თვალებში, ჩემი გულისთვის მაგის ბიჭს ციხეში უშვებენ“, — თავი გადააქნია ელშადამ და პალატაში თანასოფლელებიც შემოვიდნენ.

აზერბაიჯანულად რამდენიმე სიტყვის თქმის შემდეგ, ელშადამ დავითს შეხედა, მიხვდა, რომ მეგობარმა სიმართლე არ უთხრა და...

„მოკალით? ჩაქოლეთ?! როგორ გაიმეტეთ ოთხი კაცი?! მესმის, რომ დამნაშავეები იყვნენ, მაგრამ... ვაიმე, დაიქცა ოთხი ოჯახი ჩემი ოქროს გულისთვის“, — ელშადა ლამის ტიროდა. დავითმა სოფლელებს ამბის გაგრძელება სთხოვა.

„ჩიხში მივიმწყვდიეთ და ორმხრივი სროლა წავიდა. ვიცოდით, რომ ტყვიები გაუთავდებოდათ და ასეც მოხდა. სამაგალითოდ გვინდოდა დასჯა, სხვანაირად არ დაშინდებოდნენ სხვები. ამიტომ ჩავქოლეთ. ითხოვდნენ, არ დაგვხოცოთო, მაგრამ მაგაზე ადრე უნდა ეფიქრათ“, — ელშადას თანასოფლელი აშკარად კმაყოფილი იყო.

***

ამ ამბიდან ცოტა ხანში, გელა ელშადას შეხვდა, არაფერი უთქვამს, უბრალოდ, ქაღალდში გახვეული ნივთი მიაწოდა და წავიდა. ელშადამ ქაღალდი გახსნა და ის ბეჭედი იცნო, რომელიც მეგობარს თავადვე დაუტოვა.

## ვერსიანიუსი

### იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარებისთვის ერთი პირი დააკავეს




შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული დიმიტრი ს. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას „ჯეოქსის“ სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი 1 მჭიდით და 6 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული იარაღი სროლისათვის ვარგისია. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

### შსს-ს აკადემიას სკოლა „ინტელექტის“ მოსწავლეები ეწვივნენ



შსს-ს აკადემიას სკოლა „ინტელექტის“ პედაგოგები და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები ესტუმრნენ. მათ აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს საპატრულო პოლიციის ფაკულტეტის უფროსმა ნოდარ საакაშვილმა უმასპინძლა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტში“ 12 ქვეყნის მოქალაქე და 19 ეროვნების მოსწავლე სწავლობს.

სტუმრები პოლიციელთა მომზადების მეთოდიკას გაეცნენ და დაესწრნენ პრეზენტაციას თემაზე: „სწავლება აკადემიაში“. მოსწავლეების დიდი ინტერესი გამოიწვია ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ 2015 წლის სექტემბრიდან აკადემიაში საბაკალავრო პროგრამა განხორციელდება. აღნიშნული პროგრამა სტუდენტებს საპოლიციო საქმიანობისთვის აუცილებელ 4-წლიან, თანამედროვე სწავლებას სთავაზობს. აკადემიის წარმომადგენლებმა სტუმრებს აცნობეს, რომ საბაკალვრო პროგრამას გამოცდილი და სამართლის სფეროში ცნობილი სპეციალისტები წარუძღვებიან უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით და სტუდენტებს სამართლის სხვადასხვა დარგს შეასწავლიან. სკოლა „ინტელექტის“ მოსწავლეებმა მათთვის საინტერესო ყველა შეკითხვაზე, რომლებიც საბაკალავრო პროგრამასა და სხვა საკითხებს ეხებოდა, ამომწურავი პასუხები მიიღეს. სტუმრებმა ასევე მოინახულეს აკადემიის სასწავლო და ფიზიკური მომზადების ოთახები, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, იმიტირებული სასაზღვრო გამშვები პუნქტი, რეალური და იმიტირებული ტირები. მსგავსი ღონისძიებები შსს-ს აკადემიაში პერმანენტულად ტარდება და მათი მიზანია ახალგაზრდებში სამართლებრივი კულტურის ამაღლება და ამ გზით დანაშაულის პრევენცია.

### ქრთამის აღების ბრალდებით დმანისის რაიონის გამგებლის წარმომადგენელი დააკავეს

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გამოავლინეს და ქრთამის მოთხოვნაში ამხილეს დმანისის რაიონის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ირგანჩაიში – ალიბაი გასანოვი. გამოძიებამ დაადგინა, რომ ალიბაი გასანოვმა მოქალაქეს დაუმზადა ყალბი ცნობა, თითქოსდა აღნიშნულმა მოქალაქემ ამავე სოფელში მაცხოვრებელი პირებისგან 48 ტონა სათესლე კარტოფილი შეიძინა, რის სანაცვლოდაც, ქრთამის სახით, 900 აშშ დოლარი მოსთხოვა. დადგინდა, რომ მოქალაქეს აღნიშნული ცნობა შეძენილი კარტოფილის წარმომავლობის დასადასტურებლად სჭირდებოდა. ალიბაი გასანოვმა მას შეატყობინა, რომ 48 ტონა კარტოფილს სოფელ ირგანჩაიში ვერ შეიძენდა, მაგრამ მას შეეძლო, ნებისმიერ ტერიტორიაზე შეეძინა სასურველი ოდენობის კარტოფილი, ხოლო თვითონ დაუმზადებდა სათანადო ცნობას. სამართალდამცველებმა ალიბაი გასანოვი ქრთამის აღების ფაქტზე დმანისის რაიონში დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

*„ვერსიანიუსი“*

გელა ქოქიაშვილი

გათენება არ ვაცადე, რიჟრაჟს ფეხზე შევხვდი და ჩანთა ხელახლა გადავათვალიერე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მგზავრობისწინა მღელვარება დღეს მეტად მომეძალა. შესაძლოა ამის მიზეზი დიდი ხნის უნახავ ნაცნობთან — ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეულ ძეგლთან შეხვედრის მოლოდინია.

ვეჯინს გავცდით და ძირკოკში შევედით. ძირკოკს მერე **ჭანდარია**, რომელსაც ადრე რატომღაც **ძაღლის უბანი** ერქვა.

ჭანდარს სოფელი **ზემო გურჯაანი** მოსდევს, რომელსაც **კახისუბანი** ერქვა. იოანე ბატონიშვილი კახეთის სოფლებს ერთგან ასე ჩამოთვლის: **„ძირკოკი, ძაღლისუბანი, კახისუბანი, გურჯაანი, კიდე გურჯაანი“**. ვახუშტი ბატონიშვილმა კახისუბნის გვერდით მხოლოდ ერთი გურჯაანი იცის, რომელიც კახისუბანსა და ახტალას შორისაა.

ტოპონიმ „გურჯაანის“ შესახებ ორი მოსაზრებაა. ერთი მოსაზრებით, „გურჯაანი“ იმ გურემანის სახეცვლილი ფორმაა, რომელიც ახტალასა და ჩუმლაყს შორის არსებობდა (არადა ახტალასა და ჩუმლაყს შორის სოფელს კოტეხი ჰქვია); მეორე მოსაზრება იმას გვეუბნება, რომ გურჯაანი


გურჯაანის (კახისუბნის) „ყველაწმინდის“სამხრეთ ფასადი

ქვათა მატიანე

# ორგუმბათიანი შედევრი

## ჭერემის ქვეყანა

თურქულ-ირანული სიტყვაა და გურჯთა ანუ ქართველთა დასახლებას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს გაუგებარია, რატომ უნდა დაერქმიათ საქართველოს სოფლისთვის „ქართველთა დასახლება“, ეს ვერსია მაინც მართებული ჩანს და აი, რატომ: გურჯაანი კახისუბნის თარგმანია და არა ქართლისუბნისა, კახისუბანი კი იმიტომ ერქვა სოფელს, რომ იგი უძველესი ჰერეთის ტერიტორიაზე შეიქმნა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კახისუბანი სულაც VIII საუკუნის მიწურულს დაარსდა, როცა ჰერეთში კახური ეთნოელემენტის ინფილტრაცია დასრულდა. ამ დროს შიდა კახეთის სამთავრო, რომელიც აღმოსავლეთით იწევს, „ყველაწმინდის“ დიდი ტაძრის აგებას იწყებს. მაშ, იქნებ, კახისუბანი ტაძრის მაშენებელი კახელი ოსტატების VIII ს-ის ახალშენია?!. **გვიანი პერიოდიდან, როცა კახეთმა სრულიად გადაფარა ჰერეთი და მას თითქმის აღარც ახსენებდნენ, სოფლის სახელწოდება კახისუბანი მართლაც გაუგებარი შეიქნებოდა და უპირატესობა მის თარგმანს — გურჯაანს მიენიჭებოდა. დროთა განმავლობაში ამ დასახლებამ დასავლეთით, ახტალის მიმართულებით იწია, იწია და ბოლოს ქალაქად იქცა. ქალაქ გურჯაანს რომ გამიჯვნოდა, ძველ კახისუბანს ამიტომ დაუგრძელდა სახელი — სოფელი ზემო გურჯაანი**.


ყველაწმინდის პატრონიკის და საკურთხევლის მხარეები ინტერიერში



კახისუბანში (ე.ი. ზემო გურჯაანში) შესულებს თითქმის იმავე წამს შემოგვეგება ტრაფარეტი — „ყველაწმინდა“. სამხრეთით გადავუხვიეთ და ხუთ წუთში მონასტრის ალაყაფს მივადექით.

ეზო გაწკრიალებული მხვდება. ერთ დროს მიტოვებული „ყველაწმინდა“ დღეს არა მარტო მამათა მონასტერი, არამედ გურჯაანისა და ველისციხის ეპარქიის საკათედრო ტაძარი და მწყემსმთავრის რეზიდენციაა. ჩემდა გასახარად, დილით მონასტერში მრევლი ჯერ კიდევ არ იყო ამოსული და სიახლოვეს მხოლოდ ორი ბერი ჩანდა; ვიდეოგადაღებისთვის ნაკლები ხალხი და მეტი მყუდროება მიჯობდა. ნებართვის აღების შემდეგ სოსო გულბანი კამერას რთავს, მე კი დროებით მერხზე ვჯდები და ფოთოლცვენის ფონზე ტაძრის ხილვით ვტკბები.

ვერანაირად ვერ ვიხსენებ, რომელ წყაროში ამოვიკითხე, რომ ირანის გზაზე დამდგარმა ქეთევან წამებულმა ბოლოს სწორედ ამ ტაძარში ილოცა. შეიძლება, ეს ამბავი სულაც 40 წლის წინათ მითხრეს აქაურმა მოხუცებმა, ისე, გასაკვირი რაა? დედოფალი, რომელმაც „ყველაწმინდის“ აღდგენისთვის თავი არ დაზოგა, სამშობლოდან წასვლისას არ მოინახულებდა მას?!.

... ვზივარ და შევცქერი შედევრს, რომლის მსგავსი, მგონი, მთელ მართლმადიდებელ სამყაროში არ მოიძებნება. **ადრეულ მსოფლიო ხუროთმოძღვრებაში ორი გუმბათი გვიანდელი დანამატებია, აქ კი ისინი იმთავითვე იჯდა ოსტატის ჩანაფიქრსა და პროექტში. ამასთანავე არა მგონია, ორი გუმბათი მხოლოდ 19 მეტრი სიგრძის კამარული სივრცის დასანაწილებლად და შესაკრავად იყო გამიზნული. აქ ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს ხუროთმოძღვრული ფორმით გადმოცემულ ქალკედონური ეკლესიის არსთან — ქრისტეს ორ ბუნებასთან: ღვთიურთან და კაცობრივთან. პროვინციათა საზღვარზე მდგარი „ყველაწმინდა“ მაშინდელი ჰერეთის მონოფიზიტურ ეკლესიას, თითქოს, იმას ახსენებდა, რომ რომ თავდაპირველად ჰერებიც დიოფიზიტებად იყვნენ მონათლულნი წმ. ნინოს მიერ** (ამ ეკლესიის აგებიდან 100 თუ 150 წლის შემდეგ ჰერეთის მეფის დედის — დინარა დედოფლის აქტიურობით, ჰერეთი მართლმადიდებლობას დაუბრუნდა).

მხოლოდ შეიარაღებული თვალი თუ შეამჩნევს, რომ ქეთევან წამებულის ეპოქაში ტაძრის აღდგენისას, აღმოსავლეთის გუმბათს ოდნავ დაკლებია სიმაღლე. ტაძარი, უმთავრესად, აშენებულია კარგად შერჩეული, თანაბარი, საშუალო ზომის რიყის ქვებით, რომელთა ბრტყელი ძირი გარეთ იყურება. წყობა სანიმუშო და თარაზულია. კონსტრუქციულ ნაწილებში, კარ-სარკმლისა და თაღების გამოსაყვანად გამოყენებულია შირიმის თლილი კვადრები, ხოლო აქა-იქ (მათ შორის გუმბათში) ვხვდებით სხვადასხვა ზომის ბრტყელ, კვადრატულ აგურებს, რომელთაც ადგილზევე ამზადებდნენ. ეს არის ადრეული ხანის კლასიკური კახური სტილი, რისი ხაზგასმა მომდევნო წერილებშიც ხშირად მოგვიწევს.

„ყველაწმინდის“ ფასადებიდან ყველაზე მეტყველი აღმოსავლეთის მხარეა, სავიზიტო ბარათს კი სამხრეთი მხარე წარმოადგენს. აღმოსავლეთის ფასადი დანაწევრებულია ერთი ფართე და ორი ვიწრო, მაღალი დეკორატიული თაღედით. ისინი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ტაძრის შიდა სივრცე სამ ნავადაა დანაწევრებული. ფასადზე, დეკორატიული თაღედების ცენტრში, შესაბამისი ნავის თავსართიანი და ჯვრიანი სარკმელი გამოდის,

სამხრეთ ფასადის ცენტრში დიდი, არქიტექტურული კარია. მას თავზე არქივოლტი გადაუდის. არქივოლტი შირიმისაა და ნალისებრი ფორმა აქვს.

ამ მხარეს 10 სარკმელია: 1. სამხრეთ ნავის პირველი სართულის აღმოსავლეთ მონაკვეთში; 4 — სამხრეთ პატრონიკეში; 3 ცენტრალური ნავის თავში და 2 გუმბათში (თითო-თითო). დაახლოებით ასევეა გაფორმებული ჩრდილოეთი ფასადი, ოღონდ ამ მხარეს გუმბათებს სარკმლები არ აქვს.

დასავლეთიდან ტაძარზე მიშენებულია თანადროული, ერთსართულიანი ნართექსი. მის ბანზე ადის კიბე, საიდანაც ტაძრის მეორე სართულში — დასავლეთის პატრონიკეში შევდივართ. პატრონიკე სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნავების თავზეც გრძელდება. ამ ორი მხრიდან პატრონიკე ვიწრო სარკმლებით გადაჰყურებს დარბაზსა და საკურთხეველს. ეს ადრე შუასაუკუნეების მკაცრი სამონასტრო ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული სტილია. საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ პატრონიკეს დასავლეთ მონაკვეთში. აქ იგი ერთმანეთზე შედგმული 2 წყვილი, მოზრდილი, თაღნარიდან გადმოგვცქერის, ხოლო ეს თაღნარები, თავის მხრივ, ნართექსიდან შემომავალ უფრო დიდ თაღს ეყრდნობა. თაღების ეს „შადრევანი“ უკვე განვითარებული შუასაუკუნეების მოახლოებული სუნთქვაა. სწორედ ამ ორი განსხვავებული სტილის თანაარსებობა მიგვანიშნებს იმ ძიებაზე, რომლითაც გამოირჩეოდა გარდამავალი შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრება და, რომელსაც სწორედ კახეთმა დაუდო სათავე,


„ყველაწმინიდის“ აღმოსავლეთ ფასადი

**ვიმეორებ: ულამაზესი დასავლეთის პატრონიკითა და წყვილი გუმბათით კახისუბნის „ყველაწმინდა“ საქართველოს (და არამარტო საქართველოს) განუმეორებელი ხუროთმოძღვრული ძეგლია.**

... ტაძრის ეზოში ამაოდ დავეძებ იმ საფლავის ვერძს, რომელიც 40 წლის წინათ ეკლესიის საკურთხევლის წინ იდგა და მიტოვებულ საყდარში ტრაპეზის ქვის მაგივრობასაც სწევდა და კანდელისასაც. ღვთისმშობლობის დღესასწაულზე უამრავი მოზეიმე სწორედ მისკენ იწევდა ხოლმე და სანთლებით გაჩახჩახებული ეს ვერძი — ეს ცეცხლოვანი ბურთი, ტაძარში შემოვარდნილ მზეს ჰგავდა...

როდის და ვინ ააგო „ყველაწმინდა“?..

კახეთის ძეგლთა უმეტესობას, გვიანი შუასაუკუნეების ეკლესიებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, არათუ ხუროთმოძვრისა და „გალატოზის“, ქტიტორისა და მეფის წარწერებიც კი არ აქვს. ამის ერთადერთი მიზეზი აქაური სამშენებლო მასალის — აგურის, რიყისა და შირიმის ქვის დაუმორჩილებელი ბუნება არ უნდა იყოს. განა წარმოუდგენელი არაა, რომ ამხელა ტაძრის ქტიტორებს, იმის სახსარი აღარ ჰქონოდათ, რომ თუნდაც ცხრა მთის იქიდან ერთი ქვიშაქვის ლოდი მაინც ჩამოეტანათ წარწერის ამოსაკვეთად?!. უფრო სარწმუნო ისაა, რომ ჩვენი კახელი და ჰერი მამა-პაპანი საკუთარი სახელისა და ღვაწლის წარმოჩენას არ ესწრაფოდნენ (ამ მოკრძალებამ საერთოდ კახთა და ჰერთა ისტორიასა და თავგადასავალს პრობლემები შეუქმნა). კიდევ კარგი, რომ ისინი იმდენად მტკიცედ და გამორჩეული ნიშნებით აგებდნენ ციხე-ტაძრებს, რომ მათი მიახლოებითი დათარიღება არ ძნელდება.

„გურჯაანის (კახისუბნის) ყველაწმინდა“ VIII-IX საუკუნეთა მიჯნის ძეგლია. ამ დროისთვის იბერიის ნომინალური მეფე და კახეთ-ჰერეთის ჭეშმარიტი პატრონი ჯუანშერი (წმ. არჩილის ძე) ცოცხალი არაა და რაკი გორგასლიანთა პირდაპირი მემკვიდრე არ ჩანს, კახეთის მთავარი გრიგოლ ქორიკოზი ქართლს აღარ ემორჩილება. იგი კახეთის დამოუკიდებელ სამთავროს ქმნის. უჯარმაში მჯდარი გრიგოლი ძლიერი მმართველია. იგი ახერხებს, რომ, აშოტ კურაპალატთან დამარცხების მიუხედავად, თავისი სამთავროს დასავლეთი საზღვარი მდინარე ქსანზე შეინარჩუნოს, ხოლო ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე კამბეჩოვნამდე მაინც არ გაუშვას ხელიდან ჰერეთის ქართული მიწები. ვეჯინი ამ ხანებში მისია. გრიგოლი რომ გორგასლიან-ხოსროიანი არ არის, იმითაც მტკიცდება, რომ მას არჩილისა და ჯუანშერის კუთვნილ ერთიან ჰერეთზე ხელი არ მიუწვდება (ეს ჰერეთი ამ დროს, კახეთისა არ იყოს, იბერიიდან დროებით გამოყოფილი, დამოუკიდებელი სამთავროა). სანაცვლოდ კახეთის სამთავროში შედის გარდაბანი და მთელი აღმოსავლეთი მთიანეთი, წანარეთის (ყაზბეგის რ-ნი) ჩათვლით. კახეთისაა ასევე ოდესღაც ჰერეთში შემავალი სუჯეთი, ბოდბის ჩათვლით.

**მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო გრიგოლ მთავარი?**

**ერთი ვერსიით, იგი VI საუკუნეში კახეთში დამკვიდრებული საჰაკ ბაგრატიონის შორეული შთამომავალია, მეორე მოსაზრებით, წანარია (მოხევეა), რადგან VIII საუკუნის ბოლოს კახეთის გაერთიანებასა და გაძლიერებას წანარებმა ჩაუყარეს საფუძველი. მესამე მოსაზრებით გრიგოლი მეფე მირიანისგან კახეთის პატრონად დამტკიცებული უფროსი უფლისწულის რევის სახლის შორეული ჩამომავალია, რევიანია. სხვათა შორის, ამ უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ ერთი საგულისხმო ფაქტია გასათვალისწინებელი: გრიგოლ მთავარი სწორედ იმ მიწებს ეპატრონება ალაზნისპირეთში, რომელც მირიან მეფემ გადასცა რევს.**

გრიგოლის ჩამომავლების დადგენას იმიტომ ვცდილობთ, რომ ამით შეიძლება VIII-IX საუკუნეების შიდა კახეთის ერთ-ერთი საერისთავო ქვეყნის — ჭერემის მფლობელის ვინაობაც დავადგინოთ, თუმცა რა დონის სითამამეშიც უნდა ჩამეთვალოს, მაინც მგონია, რომ ჭერემის ქვეყნის მფლობელი, გრიგოლის წარმომავლობის მიუხედავადაც, რევიანია იყო. გორგასლიანებმა ერთიანი კახეთის მმართველობაში რევიანები რომ ჩაანაცვლეს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კახეთის ცალკეული პროვინციის პატრონები მოსრეს. რჩება შთაბეჭდილება, რომ კახეთის ამ ყველაზე ღონიერი ქვეყნის — ჭერემის პროვინციის „გარდარეულად მდიდარი“ პატრონი და „ყველაწმინდის“ ქტიტორი, შეიძლება, რევის სახლის ის შორეული ჩამომავალი იყოს, რომელსაც „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ავტორი კახეთის წარჩინებულ და მდიდარ აზნაურად (ე.ი. ერისთავად) გვაცნობს. ამ თემაზე საუბარი თითქოს სოფელ ჭერემში უნდა წამოგვეწყო, მაგრამ იქ IV-VI საუკუნეების ძეგლებთან, წმინდა ნინოსა და უშუალოდ, გორგასლის ეპოქისდროინდელ ტაძრებთან გვქონდა საქმე. ამიერიდან კი არამარტო ადრე შუასაუკუნეების, არამედ გარდამავალი შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრებაზე მოგვიწევს საუბარი. ამ ეპოქის ყველაზე გამორჩეული ტაძრები სწორედ ზემო გურჯაანიდან იწყება და ალაზნის აყოლებაზე გვხვდება გაღმა თუ გამოღმა.

...სოფელ ზემო გურჯაანიდან (კახისუბნიდან) ქალაქ გურჯაანში შევდივართ.

*ავტორის ფოტოები*






# მავნე ჩვევა მემკვიდრეობითია

მოზარდებში, რომელთა მშობლებიც დამოკიდებულნი არიან ნარკოტიკსა თუ ალკოჰოლზე, საკმაოდ მაღალია რისკი, მომავალში თვადაც დაზარალდნენ, — ასეთია მეცნიერთა დასკვნა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შვილებსა და მშობლებს ტვინი ერთნაირად აქვთ მოწყობილი. საქმე ისაა, რომ არა მხოლოდ ახალგაზრდებს ახასიათებს იმპულსური ქმედებები, არამედ უფროსებსაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი რაიმე ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან. არსებული შედეგებით, შესაძლოა, შემუშავდეს სხვადასხვა სახის დამოკიდებულების მკურნალობისა და პროფილაქტიკის ეფექტური სტრატეგიები, მით უმეტეს, რომ ადრე ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო — ეკოლოგიურ ფაქტორებსაც შეუძლია ადამიანი საფრთხის ქვეშ დააყენოს და გარდა ამისა, პიროვნების ქცევა თუ გენეტიკური კოდი მავნე ჩვევების განვითარებას განაპირობებს, რაც ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს.

# კოფეინი მხედველობას იცავს




ტოკიოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერები აცხადებენ, რომ კოფეინი აუმჯობესებს ცრემლის გამომუშავებას. ეს აღმოჩენა, სპეციალისტებს საშუალებას მისცემს, დაძლიონ ე.წ. მშრალი თვალის სინდრომი და დახვეწონ მკურნალობის მეთოდი. „მშრალი თვალის“ სინდრომს ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა თვალში უცხო სხეულის შეგრძნება, წვა, ქავილი, სიმშრალე, შუქის შიში, თვალის სწრაფი დაღლა...

იაპონელ სწავლულთა კვლევაში 78 ადამიანი მონაწილეობდა. ისინი, ვინც კოფეინს იღებდა, აღარ უჩიოდნენ თვალში უსიამოვნო შეგრძნებებს. მკვლევარები კი კოფეინის მიღებას მხოლოდ იმ პაციენტებს ურჩევენ, ვინც მგრძნობიარეა ამ ნივთიერების მასტიმულირებელი ეფექტის მიმართ.

# პომიდვრის აბები ქოლესტერინის წინააღმდეგ



კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ პომიდორში არსებული ბუნებრივი ნივთიერებებისგან დამზადებული აბები ინსულტისა და გულის შეტევის რისკს ამცირებს. პრეპარატი ატერონონი, რომელიც ბიოლოგიურად აქტიურ საკვებ დანამატებს მიაკუთვნეს, შეიცავს ლიკოპენს (კარატენოიდი, რომელიც პომიდორს წითელ ფერს ანიჭებს) და სისხლძარღვებში ქოლესტერინის კოლტების წარმოქმნას აფერხებს. წინასწარმა ცდებმა, რომელშიც კორონარული დაავადების მქონე 150-ზე მეტი პაციენტი მონაწილეობდა, აჩვენა, რომ ატერონონი ორ თვეში ნულოვან დონეზე ამცირებს სისხლში მავნე ცხიმებს.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 2 | | 4 | 3 |
| | 5 | | | | | 7 | | |
| | 3 | 9 | 7 | | | | 5 | |
| | | | 4 | | | 2 | 9 | |
| 4 | | | | 1 | | | | 5 |
| | 1 | 8 | | | 5 | | | |
| | 6 | | | | 3 | 1 | 7 | |
| | | 7 | | | | | 6 | |
| 8 | 4 | | 5 | | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 8 | 2 | | 7 |
| | | | | | 5 | 1 | | |
| | | | | 9 | | 6 | | 3 |
| 2 | | | | | | 7 | 6 | |
| | 3 | 6 | 2 | | 1 | 8 | 4 | |
| | 9 | 4 | | | | | | 2 |
| 5 | | 7 | | 2 | | | | |
| | | 3 | 5 | | | | | |
| 9 | | 2 | 3 | | | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | | 4 | 1 | |
| 1 | 7 | | | | | | | 3 |
| 5 | | | | 1 | | 6 | | |
| | 8 | 5 | | | 3 | | | |
| | | | 4 | | 8 | | | |
| | | | 7 | | | 2 | 9 | |
| | | 7 | | 8 | | | | 5 |
| 6 | | | | | | | 8 | 2 |
| | 1 | 3 | | | | 9 | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 3 | | 6 | | | | 4 |
| | 9 | | | 8 | | 6 | | 1 |
| | | | | | 1 | | | |
| | 8 | | | 1 | | | | 2 |
| | 6 | | 9 | | 8 | | 7 | |
| 3 | | | | 7 | | | 9 | |
| | | | 2 | | | | | |
| 1 | | 6 | | 5 | | | 4 | |
| 9 | | | | 3 | | 7 | | 8 |

# ყველაზე უჩვეულო საქორწინო ტრადიციები

ქორწილი ყოველი ადამიანისთვის უკნიშვნელოვანესი მოვლენაა და ამიტომ ყველა ცდილობს, ეს დღე დაუვიწყარი იყოს. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ისეთი საქორწინო ჩვეულებები აქვთ, ოჯახის შექმნის სურვილს საერთოდ დაუკარგავს ადამიანს: ჩინეთში, ტუცზის ხალხებში არსებობს ტრადიცია, რომ საპატარძლომ ქორწილამდე ყოველდღე თითო საათი უნდა იტიროს, ათი დღის შემდეგ მას დედა ეუერთდება და იმის ნაცვლად, შვილი დაამშვიდოს, ორ ხმაში იწყებენ ტირილს; მოგვიანებით, საპატარძლოს ყველა ნათესავი თუ მეგობარი უერთდება და წინასაქორწინო „ვიშვიშიც“ უფრო მასშტაბური ხდება. ტრადიციის მიხედვით, სხვადასხვა ტონალობაში ქალის ტირილი სიხარულის მომტანია.

ტუდონგის ტომში, რომელიც კუნძულ ბორნეოზე ცხოვრობს, ძველი წეს-ჩვეულების თანახმად, ახალდაქორწინებულებს ნებისყოფასა და ორგანიზმის სიმტკიცეზე ცდიან: თუ ტესტს წარმატებით ჩააბარებენ, ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრება ელით, წინააღმდეგ შემთხვევაში, უთანხმოება, ჩხუბი და უბედურება არ ასცდებათ. წყვილის გამოცდის არსი კი შემდეგში მდგომარეობს: ცერემონიის შემდეგ ახალდაქორწინებულებს ტუალეტში არ უშვებენ. ამის გამო ცოლ-ქმარი უარს ამბობს ჭამასა და დალევაზე;



ინდოეთის ზოგიერთ რეგიონში მიიჩვევენ, რომ ქალი დაწყევლილი არსებაა და შეიძლება მეუღლე ადრე გარდაეცვალოს, ამიტომ ქალს, მამაკაცზე დაქორწინებამდე, ხეზე ათხოვებენ და შემდეგ მცენარეს ჭრიან, წყევლის მოსახსნელად;

კორეაში კი დაქორწინებამდე სასიძოს ტერფებში თევზს ან ლერწამს ურტყამენ და ეს მტკივნეული პროცედურა, რიტუალის ერთ-ერთ სახალისო მომენტად ითვლება.

კენიაში, მასაის ტომის ქორწილში პატარძალს მამა უცნაურად ლოცავს — შვილს თავსა და მკერდზე აფურთხებს, შემდეგ კი პატარძალი ქმართან ერთად, უკანმოუხედად ტოვებს მშობლიურ ადგილს — ამბობენ, თუ ქალმა ამ დროს უკან მოიხედა, ქვად გადაიქცევაო.

ნიკობარის კუნძულებზე, ქორწინების შემდეგ, თაფლობის თვე შეიძლება მხოლოდ პატარძალს ჰქონდეს, ქმარი კი ნახევარი წლის განმავლობაში მეუღლის ოჯახში მონად მიდის და უმძიმეს სამუშაოს ასრულებს. სამაგიეროდ, ყველაფერი მერე ცოლის მხრებს დააწვება, ამიტომ ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ კაცმა საკუთარი გამოცდილებიდან უნდა იცოდეს და დააფასოს ცოლის შრომა.

ყველა პატარძალი ოცნებობს, ქორწილის დღეს საოცრად გამოყურებოდეს, ნიგერიელი გოგონები კი, რომ გათხოვდნენ, სპეციალურად სუქდებიან. ყოველი მათგანი ერთ წელიწადს ატარებს სპეციალურ ქოხში, თითქმის არ მოძრაობს, არაფერს აკეთებს, ახლობლებს კი მისთვის კალორიული საკვები მიაქვთ. ქორწილის შემდეგ, ახალდაქორწინებულები ცოცხს ახტებიან, რაც მათი ოჯახური ცხოვრების დასაწყისის სიმბოლოა.

შვედეთში, ქორწილში დაპატიჟებული სუსტი სქესის წარმომადგენელი ცერემონიალზე არავითარ შეთხვევაში არ უნდა მივიდეს წითელი კაბით. თუ ასე მოხდა, ბრალს წაუყენებენ, რომ ღამე სასიძოსთან გაატარა. კიდევ ერთი ძველი შვედური ტრადიციის მიხედვით, პატარძლის თაიგული მძაფრ, უსიამოვნო სუნს უნდა აფრქვევს, რათა ბოროტი სულები დააფრთხოს.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 8 | 4 | 7 | 1 | 3 | 2 | 9 | 6 |
| 3 | 9 | 2 | 8 | 6 | 5 | 7 | 4 | 1 |
| 7 | 1 | 6 | 9 | 4 | 2 | 8 | 5 | 3 |
| 6 | 7 | 3 | 2 | 9 | 1 | 5 | 8 | 4 |
| 4 | 5 | 1 | 6 | 8 | 7 | 3 | 2 | 9 |
| 8 | 2 | 9 | 5 | 3 | 4 | 6 | 1 | 7 |
| 2 | 6 | 5 | 1 | 7 | 9 | 4 | 3 | 8 |
| 1 | 4 | 8 | 3 | 2 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 9 | 3 | 7 | 4 | 5 | 8 | 1 | 6 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 4 | 1 | 7 | 6 | 5 | 9 | 8 |
| 9 | 1 | 8 | 5 | 4 | 2 | 3 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 9 | 8 | 4 | 2 | 1 |
| 6 | 7 | 3 | 2 | 8 | 5 | 1 | 4 | 9 |
| 4 | 9 | 2 | 7 | 1 | 3 | 8 | 6 | 5 |
| 8 | 5 | 1 | 4 | 6 | 9 | 2 | 3 | 7 |
| 5 | 8 | 9 | 6 | 3 | 4 | 7 | 1 | 2 |
| 2 | 4 | 7 | 9 | 5 | 1 | 6 | 8 | 3 |
| 1 | 3 | 6 | 8 | 2 | 7 | 9 | 5 | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 6 | 7 | 9 | 5 | 3 | 2 | 1 |
| 7 | 3 | 2 | 4 | 1 | 6 | 8 | 9 | 5 |
| 5 | 1 | 9 | 3 | 2 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 6 | 5 | 3 | 9 | 8 | 4 | 2 | 1 | 7 |
| 4 | 9 | 1 | 2 | 7 | 3 | 6 | 5 | 8 |
| 2 | 8 | 7 | 6 | 5 | 1 | 9 | 4 | 3 |
| 3 | 6 | 8 | 1 | 4 | 2 | 5 | 7 | 9 |
| 1 | 7 | 5 | 8 | 6 | 9 | 4 | 3 | 2 |
| 9 | 2 | 4 | 5 | 3 | 7 | 1 | 8 | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 1 | 4 | 3 | 9 | 2 | 7 | 6 |
| 7 | 9 | 6 | 2 | 1 | 8 | 5 | 4 | 3 |
| 4 | 2 | 3 | 7 | 6 | 5 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 1 | 7 | 3 | 9 | 2 | 8 | 6 | 4 |
| 2 | 6 | 4 | 8 | 7 | 1 | 3 | 5 | 9 |
| 9 | 3 | 8 | 6 | 5 | 4 | 7 | 2 | 1 |
| 1 | 8 | 5 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 | 2 |
| 6 | 4 | 2 | 5 | 8 | 3 | 9 | 1 | 7 |
| 3 | 7 | 9 | 1 | 2 | 6 | 4 | 8 | 5 |

მე-12 გვერდი: 1. გურია; 2. გამა; 3. რანჟირი; 4. ასპექტი; 5. მინსკი; 6. ივლისი; 7. სიროკო; 8. ბელგია; 9. აიდაჰო; 10. პანამა; 11. ელარჯი; 12. ალტაი; 13. ირიდა; 14. ემირ; 15. მილი; 16. ქცია; 17. ასაკი; 18. გეა; 19. გნომი; 20. „რვანახევარი“; 21. ბროლი; 22. დიდი; 23. დიდედა; 24. ბაკენბარდი; 25. ჰედონია; 26. ბახუსი; 27. კახეთი; 28. კახეთი; 29. ავი; 30. ხახამი; 31. ადამი; 32. აბისინია; 33. აპოთემა; 34. პლუში; 35. ურვადი; 36. ივანე; 37. ალათაუ; 38. ადა; 39. ბანანი; 40. აული; 41. ტევტონები; 42. ასლი; 43. სუთი; 44. სავანე; 45. მესტია; 46. ლაკედემონი; 47. ანიმე; 48. სახაროვი; 49. ლავუაზიე; 50. სათითე; 51. მალამო; 52. ენოთეკა; 53. ინძაგი; 54. „ორერა“; 55. ნავი; 56. ტოფუ; 57. ფიცი; 58. გოია; 59. ათი; 60. იდო; 61. გენია; 62. „რენო“; 63. არკა; 64. ლემა; 65. გენა; 66. ურო; 67. კარე; 68. ნიკე; 69. მძიმე; 70. გორდია; 71. ლეი; 72. მეი; 73. კურარე; 74. ცეცე; 75. ლაოსი; 76. ბირმინგემი; 77. ტაო; 78. იუდა; 79. მელიტონ; 80. ინა; 81. რუ; 82. ელია; 83. ალონიმი.

შვილები მარიამ, სოფიო და გიორგი გალდავები, ნათესავები, ახლობლები და მეგობრები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რუსუდან გიორგის ასული ოდიშელიძე**

პანაშვიდი: კვირა, 5 აპრილი. 17.00; ორშაბათი, 6 აპრილი 17.00.
მისამართი: თამარაშვილის №8.
გამოსვენება: სამშაბათი, 7 აპრილი. 12.00; თბილისი. თამარაშვილის №8
დაკრძალვა: სამშაბათი, 7 აპრილი. 14.00, დუშეთის რაიონი, სოფ. ლაფანაანთკარი

გაზეთ „ვერსიის“ რედაქცია და მაია ფურცელაძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გიორგი გალდავას დედის

**რუსუდან ოდიშელიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

# გართობა



1.ძვ. სლავური ენის ერთ-ერთი ანბანი
2. ზომიერად ნელი ტემპი მუსიკაში
3. ლიტერატურის სანიმუშო ნაწარმოებთა ერთობლიობა
4.ლაბორატორიული ჭურჭელი
5.გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი
6. თამბაქოს შხამი
7. უაზრო სიტყვები, აბდაუბდა
8.ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაური სახელი
9. კუბის რევოლუციის იდერი
10. ამერიკელი მხატვარი ენდი ...
11.მოთიბული და გამხმარი ბალახი
12.ძვირფასი თვლების წონის ერთეული
13.მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
14. კუჭის წვენში მარილმჟავას უქონლობა
15.გადასახადი ქეჩის კარავი შუა აზიაში
16. დაბა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
17.უსაქმოდ მოხეტიალე, მოხულიგნო ახალგაზრდა
18. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის
19. ავტორი რომანისა „რობ როი“
20. რევაზ ლაღიძის ოპერა
21. სასწორის თეფში
22. „ისტორიის მამა“
23.ცნობილი ამერიკელი განგსტერი
24. იგივეა, რაც მამითადი
25.რაიმეთი გატაცება სამუშაოდან თავისუფ. დროს
26. შავარდნისებრთა ოჯახის მტაც. ფრინველი
27. კიმონოს შესაკრავი ქამარი
28. ფორთოხლის გაზიანი სასმელი
29.კურორტი მარტვილის რაიონში
30.გრიგორი ლეპსის ნამდვილი გვარი
31. ცხვრის მატყლის ცხიმი
32. ჰორიზონტალური ფიცარი ფანჯრის ქვეშ
33. ტბა აფხაზეთში
34.გიორგი დანელიას ფილმი
35.უნგრეთის უდიდესი ტბა
36. სანკტ-პეტერბურგის მუზეუმი
37. სამეურნეო მუშაკი
38. მიხეილ ჯავახიშვილის მშობლიური სოფელი
39. კარგი ამინდი
40.აფრიკიდან მონაბერი ცხელი ქარი სამხ. ევროპაში
41. ქალაქი ჩეხეთში
42.სომეხთა წმინდანი ქალი
43.ბრინჯაო ძველ ქართულში
44.ინდოელი კინოვარსკვლავი აიშვარია ...
45.შლიმანის მიერ აღმოჩენილი ქალაქი
46.ნახევრად ძვირფასი ქვა
47.აგამემნონის და კლიტემნესტრას ძე
48. მოღალატე, განდგომილი
49. გემის ბორტი
50. ტბა ანდებში
51.ზრდილობი-ანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
52. ჩინური მაფია
53. ჩინელი კომუნისტების ბელადი
54. ხუთი წერტილი კამათელზე
55.კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
56.თურქეთში: მამაკაცისადმი ზრდილ. მიმარ. ფორმა
57.ფრანგი დიზაინერი ემანუელ ...
58.ქიმიური ელემენტი, მეტალი
59.მაწვნის მსგავსი აზიური პროდუქტი
60.იაპონელი ნობელიანტი მწერალი
61.საფრანგეთის სამეფო ტახტის ტიტული
62. მთა თბილისთან
63. შხამიანი გომბეშო
64. საკონდიტრო ნაწარმი
65. ხრიკი, ფანდი
66.ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ...“
67.სასიყვარ. პოეზ. მუზა
68.უძლეველი სურვილი
69. თმის საშრობი ელექტროხელსაწყო
70. რუსი საბჭოთა ესტრადის მსახიობი
71. სამედიცინო პროცედურა
72. მოღერალი ... ფიცჯერალდი
73. იაპონური თეატრის სახეობა
74.ქიმიური ელემენტი, მეტალი
75. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
76.იაპონიის უძველესი დედაქალაქი
77. ზღაპრული შინაარსის იგავი
78. მუსიკალური გამის IV ნოტი
79.მსახიობი ... მელვინ-თუხუცესი
80. არაბული ფლეიტა
81. დასავლეთევროპული ზღაპარი
82. ინგლისელი ფეხბურთელი ... შირერი
83. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი
84. ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ...
85. ზევსის სატრფო, რომელიც ძროხად გადაიქცა
86. ფუჭი, უშედეგო


**ვერსია**

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ღლონტი
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.